



წიგნი სამშობლოსათვის ავტორი მარინა ნაჭყებია, აფხაზეთის ომი 1992-93 წელი, მკვლევარი

აფხაზი და ქართველი დედა..
ორივე მისტირის შვილს...
.შვილის დაკარგვისას ეროვნებას არ ეკითხებიან.
რადგან ცრემლს, ტკივილს და დარდს ეროვნება არ აქვს.



სად გეძებოთ ვაჯკაცებო ?

დროა! შემოვკრათ დედო ზარებს განგაშის ნიშნად,
ვეძებოთ გმირი, – ღმერთს შევთხოვოთ მისი გაჩენა,
იქნებ აკვანში ის ნანატრი ჭაბუკი იწვა
და დავაჟკაცდა საქართველოს გადასარჩენად!?...



შოსანმა დედამ, რომელმაც მწარე ტკივილით მომმართა.

რით ვანუგეშო? მხოლოდ უსიტყვო მოფერებით....

უსაფლავ და უყვავილო ანგელოზები...

ამირან, ბუთხუზ, ზაზა, სოხუმელი ძოწენიძეებო ! ვინ გაგიმეტათ?

სეპარატისტების მიერ მოკლული ამირან ძოწენიძე თავის ვაჯკაცებთან ერთად. 21 და 19 წლის შვილები.(ბუთხუზი და ზაზა_)

დედა--- ქალ. ნაზი ფაცაცია."-ჩემი მეუღლე კი არის შვილებს ჩახუტული. მან მაჯობა. მე რა ვქნა უბედურმა დედამ, თავის მოკვლაც არ შემძლია." ----ეს სიტყვები ქალ. ნაზიმ მორიდებით წარმოთქვა.



ტაბატაძე მარინა

სიკვდილს სიკვდილით ვერვინ ვერ მოშლის, მაგრამ მე მაინც მინდა აღნიშვნა,--გმირის სიკვდილი საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, სიკვდილს არ ნიშნავს.....მორის ფოცხიშვილი



ძმები: ვასილ და ნიკოლოზ წიკლაურები.

ძმები: თეიმურაზ ზურაბ ზალდასტანიშვილები.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის 22 სექტემბერს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ტრაგიკულად დაიღუპნენ ბაბუშერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს.



სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირების, თავდაცვისა და მხედრული ვალის პირნათლად მოხდისათვის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ(სიკვდილის შემდეგ).



მარინა ტაბატაძე

დაიბადა 1961 წლის 24 თებერვალს ქალაქ სოხუმში.

1967–1975 წლებში სწავლობდა დაბა გულრიფშის შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლაში.

1976 წლიდან სწავლა გააგრძელა სოხუმის სამხატვრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1982 წელს, სპეციალობა – ხაზვა, ხატვის სასწავლებელი.

1980 წელს დაოჯახდა. შეეძინა ოთხი ქალიშვილი–ლინა, ლია, ნაირა და ირინა.

80–იან წლებში გაიარა მედლის ექვსთვიანი კერძო კურსი ქ. სოხუმში.

მუშაობდა აგუმერის დასასვენებელ სახლში, ხოლო შემდეგ ტოლიატის სახელობის დასასვენებელ სახლში.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1992 წლის 22 სექტემბერს დაიღუპა ბაბუმერას აეროპორტში ავიაკატასტროფის დროს.



კამანში დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობა

1. მამა ანდრია (პაატა ყურაშვილი, კამანის ეკლესიის მოძღვარი) დახვრიტეს ეკლესიის ეზოში.
2. იური ანუა (გიორგი, კამანის ეკლესიის აღმდგენი) ტყვედ აიყვანეს ეკლესიაში, შემდეგ არავის უნახია. დაუზუსტებელი წყაროებით ის აფხაზებმა დახვრიტეს.
3. ვალო ჩხეტიანი -ყველა მიცვალებული დაასაფლავებინეს, შემდეგ დახვრიტეს.
4. სერგო მუშკუდიანი -ყველა მიცვალებული დაასაფლავებინეს, შემდეგ დახვრიტეს
5. ინდიკო ჩხეტიანი.
6. კონსტანტინე ილიადი
7. ალექსანდრე ტაბატაძე
8. ხრისტო ხარიტოპულო
9. ივანე ბელოვი
10. კუზმა ხიონიდი -იმსხვერპლა ჭურვის ნამსხვრევებმა.

აფხაზეთი, სოფელი კამანი. 1993 წლის 4 ივლისი, ღამის 10 საათი

ტყიანი ფერდობებიდან ხეობის სიღრმემდე სროლის ხმა აღწევს. ახალშენის მხარეს ცა წითლად ნათდება და ჰორიზონტზე რუხი, მოძრავი წერტილები მოჩანს. ისინი ეშვრას დასტრიალებენ, მერე დაბლა მოიწევენ, ამზარას უახლოვდებიან. გუმისთის პირას ჩასაფრებულ გურამ გვიჩიანს, ავტომატების უწყვეტ კაკანთან ერთად, ახლა უკვე ძრავების ყრუ, დახშული გუგუნი ესმის. ღამის სიბნელეში რუსული სამხედრო ვერტმფრენების სილუეტები იკვეთება. გურამი ბინოკლს ჩაჰყურებს. მის წინ ამზარაა, მოშორებით – ტყე, ზემოთ – ვერტმფრენი, საიდანაც თოკი ეშვება. დაჭიმულ ბაგირზე ერთმანეთის მიყოლებით მოცოცავენ თავიდან ფეხებამდე შეჭურვილი მეომრები და ხშირ წიწვნარში უჩინარდებიან. ახლა მეორე ვერტმფრენიდან უშვებენ თოკს, მესამედან. . . ` დესანტი ჩამოსხეს, – რაციით გადასცემს შტაბს ბოლო, საგანგაშო ინფორმაციას გვიჩიანი. შტაბში უკვე იციან, რომ: ბომბორას სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული სადესანტო-იერიშმიმტანი ბრიგადა შეტევაზე გადასვლას აპირებს. კამანი ალყაშია. გენერალ ლეხედის სპეცდანიშნულების 500-კაციანი ბატალიონი ეშვრა-ამზარადან მოიწევს, ჩეჩურ-სომხური

და აფხაზური შენაერთები _ შუბარი-ახალშენიდან და აჩადარა-ზეგანიდან. ანუ მოსალოდნელია სამმხრივი შტურმი აფხაზეთის მთებში ჩაკარგულ პატარა სვანურ სოფელზე, რომელსაც 32 ადგილობრივი მებრძოლი იცავს. . .კამანელთა ტრაგიკულ-ჰეროიკული ისტორიის დაწყებამდე უკანასკნელი წუთებიდა რჩება. სოფელი ელის თავდასხმას. მას ტყეში გახიზვნა შეუძლია, მაგრამ არავინ არსად მიდის. პაკელიანები, გერლიანები, გვიჩიანები, კახიანები უთანასწორო, თავგანწირული წინააღმდეგობისთვის ემზადებიან. პირველი გასროლის მოლოდინში კამანი დამაბულ, სამარისებურ სიჩუმეს მოუცავს. სიცოცხლის ნიშან-წყალი მხოლოდ გუმისთისპირა პოზიციებზე იგრძნობა. სანგრებიდან ფეხის ხმა და ფრთხილი გადალაპარაკება ისმის. მებრძოლები საგუშაგოებზე ნაწილდებიან. . .შტურმამდე დარჩენილი უკანასკნელი წუთების ათვლა იწყება. დილის 5 საათია. 1993 წლის ივლისის დამდეგს, როდესაც კამანზე თავდასხმა გადაწყდა, გუდაუთის დაჯგუფებები ფრონტის გუმისთისპირა ზოლს თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ. სოხუმის მიმდებარე დასახლებები _ ეშერა, ამზარა, შუბარი, ახალშენი, ზეგანი _ აფხაზების ხელში იყო. სოხუმამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. ქართული სამხედრო ძალებისგან გაწმენდილ ტერიტორიაზე უკანასკნელ წინაღობას 42-კომლიანი სვანური სოფელი _ კამანი _ ქმნიდა. ის გუდაუთიდან ყველა მიმართულებით დამრულ შენაერთებს გზას ზედ ქალაქის მისადგომებთან, 15-იოდე კილომეტრის მანძილზე, უკეტავდა. კამანის აღება სოხუმის გარდაუვალ დაცემას ნიშნავდა. . .სროლის ხმა კამანში პირველად გაგრის დაცემის შემდეგ, 1992 წლის 3 ნოემბერს, გაისმა. სულ მალე ტყვიის წუილი, ჭურვის აფეთქება, გვამები _ სანგრებში, მდინარის ზედაპირზე, გზებზე, ეზოებში ყოველდღიურობად იქცა. სოფელი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. ფრონტის წინა ხაზი მის სახლებზე, მის უბნებზე, მის ხეობაზე გადიოდა. ბრძოლები წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა.

ერთი წლის შემდეგ კამანს 65-ის ნაცვლად 32 ადგილობრივი ჯარისკაციღა ჰყავდა. დანარჩენები დაიღუპნენ. სახლები დაინგრა, ხოლო მათ ადგილას ზოგან უშველებელი ღრმულები დარჩა. გაუქმებული წყალსაცავები, მიტოვებული ბუნკერები და სარდაფები სანგრებად, ბლინდაჟებად იქცა. მშვიდობის ხანა, სამოქალაქო ცხოვრების რიტმი თითქოს სამუდამოდ დასრულდა. კამანმა თავდასხმებს გაუძლო. ის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც იხსნა. სოფელი მიუდგომელი იყო. მის დასაბომბად უახლესი ტიპის საარტილერიო დანადგარების გამოყენებაც ვერ ხერხდებოდა. . .და მოწინააღმდეგე ეშერადან კამანისკენ მიმავალი საცალფეხო ბილიკის გაფართოებას შეუდგა. ამ გზაზე სამხედრო ტექნიკას უნდა ევლო, თანაც გუდაუთა-ამზარას ტრასას შრომის ხილამდე შეერთებოდა. კამანი ალყაში ექცეოდა. სამმხრივი შტურმის დღე ახლოვდებოდა. . . 5 ივლისი. 5 საათი და 10 წუთი. ცა იქუფრება. წინწყლავს. სოფლის თავში, ხიდან მოწყობილ პირველ საგუშაგოზე, 28 წლის ადამ გვიჩიანი ექვს თანამოსანგრეს საბრძოლო მითითებებს აძლევს. ის ოცმეთაურია, ლეიტენანტი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილი ოფიცერი, სპორტსმენი, ძიუდოისტი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. . .
. ` მოემზადეთ, _ სიტყვის დასრულებას ვერც ასწრებს, მის ხმას ნაღმსატყორცნების მოულოდნელი გრუხუნის ფარავს, _ ` ჯანდაბა, უკვე დაიწყო. . . ამზარადან გვბომბავენ. . . მალე სოფელს მოადგებიან. . . სოფელში შეჭრა ორი გზით შეიძლება _ ხიდიდან და სანაპიროდან. ხიდი დანალმულია. შვერილებიც გამოცლილი აქვს. ტექნიკის სიმძიმეს ვერ

გაუძლებს. ჯარს გადაადგილების საშუალებას არ მისცემს. სანაპირო კლდოვანია, გუმისთა _ ადიდებული. რელიეფი მხოლოდ ერთგან მარტივდება. ციცაბო ფერდობებს ქვიშიანი დაბლობი ენაცვლება, კალაპოტი ვიწროვდება. . . აქ, საერთო საცხოვრებლის შენობაში, მეორე საგუმბაგოა. საგუმბაგოზე ცხრანი არიან _ შვიდი მამაკაცი და ორი ქალი. 35 წლის მერი პაკელიანმა გუმინ დილას დატოვა სოფელი, შვილები დასთან, გალში გახიზნა და უკან სასწრაფოდ გამობრუნდა. სოფელი საბრძოლო მზადყოფნაში დახვდა. ერთ-ერთი შეტევისას აფხაზებისთვის წართმეული ტყვიამფრქვევი ინვალიდთა თავშესაფრის _ ე.წ. წითელი კორპუსის _ მესამე სართულზე აეტანათ. გუმისთის გალმა, ტყეში ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები ჩაემარხათ. ხიდის ბურჯი მოერყიათ. სანგრები გაეთხარათ. . . სახლები ცარიელი იყო. დიდ-პატარიანად, ქალიან-კაციანად ყველა პოზიციებზე გაკრეფილიყო. ქმარი, საშა გამსახურდია, მეორე საგუმბაგოზე მოძებნა. ახლაც გვერდით უზის. მერი მჭიდებს ამოწმებს, ავტომატს ტენის. წუთით ჩერდება, ფიქრობს. მერე ჯგუფის მწირი არსენალიდან ხელყუმბარას იღებს და ჯიბეში მალავს. . . ახალშენისკენ მიმავალი გზის დასაწყისში, მესამე საგუმბაგოზე, სოფლის შტაბიდან მამა-შვილს _ ვლადიმერ და მალხაზ კახიანებს _ აგზავნიან. მალხაზი დაზვერვის ათმეთაურია. რამდენიმე თვის წინ ეშერას ქვემოთ, სოფელ დიმიტროვკაში ჩასაფრებულ სნაიპერებს, რომლებმაც კამანს მოსვენება დაუკარგეს, თავს დაესხა. ორი მოკლა, ერთი გაექცა, ერთიც ტყვედ ჩაიგდო. ის რუსი მაიორი, ფსკოვის სადესანტო ბატალიონის ხელმძღვანელი აღმოჩნდა. . .

75 წლის ვლადიმერმა გუმინ დილას ახალშენიდან საგანგაშო ინფორმაცია ჩამოიტანა. სოფელი ალყაში იყო. სასწაულებრივად გადარჩენილი, ტყეს შეფარებული ქალები და ბავშვები კამანისკენ გზის გაგნებას ვერ ახერხებდნენ. კახიანმა ისინი შრომის ხიდამდე ჩააცილა. უკან დადლილი, შემფოთებული დაბრუნდა: ყოველი მხრიდან მოიწვევენ. . . ვერ შევაჩერებთ. . . ცოტანი ვართ. . . თითზე ჩამოსათვლელნილა დავრჩით. . . უნდა წავიდეთ. . . სოფელი უნდა გაიხიზნოს, _ ამაოდ ცდილობდა ადგილობრივი შენაერთის მეთაურის, მაიორ ზაზა პაკელიანის დარწმუნებას. პაკელიანი ჯიუტად დუმდა. ბოლოს თქვა: `შრომაში ყველაფერი იციან. ხვალ დამხმარე ძალა მოვა. შრომაში ყველაფერი იციან, მაგრამ დამხმარე ძალა არ მოდის. . . მსხვილკალიბრიანი ნაღმსატყორცნებით დაბომბვა გრძელდება. სადაც არის, ქვეითებიც გამოჩნდებიან. ტყვია-წამლის მარაგი ცოტაა, შეიარაღება _ მწირი. ტექნიკა კი კამანელებს საერთოდ არ აქვთ.

სოფლის პრობლემები საქართველოს უმაღლეს მთავარსარდლობას კამანელმა პედაგოგმა, აფხაზეთის დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, ელგუჯა გვიჩიანმა ორიოდ კვირის წინ შეატყობინა. ვითარება არ შეცვლილა. დღეს 63 წლის გვიჩიანი სოფლის განაპირას, ფერმებთან მოწყობილ მეოთხე საგუმბაგოზე, შვილის, გურამის გვერდით დგას. ის მოკლე სადესანტო ავტომატით არის შეიარაღებული. ბრეზენტის ძველებური ლაბადა მოუსხამს და, წვერმოშვებულს, სვანური ქუდი დაუხურავს. ერთი შეხედვით, რიგით მოქალაქეს, უწყინარ მოხუცს გავს, თუმცა პროფესიონალი სამხედროა, საბჭოთა ჯარების ყოფილი ოფიცერი. . . ფერმისგან 200-იოდე მეტრის მოშორებით სოფელს წმინდა ვასილისკოს წყარო ჩამოუდის. წყაროსთან ეგნატე კვიციანის სახლი დგას. ეგნატე სახლის წინ, ხიდთან ზის. `გეკო უჭირავს. ცნობილი მონადირეა. შინ შვილების დანატოვარი ავტომატები, ტყვია-წამლის მარაგი ეგულება. ეზოში, კაკლის ქვეშ, გაუქმებული

წყალსაცავი შეუძლია, სანგრადაც გამოიყენოს. შორს, გუმისთის გადაღმა, რუსი ბოვეიკების პირველი ათეულები ფერდობებზე ეშვებიან. ნაღმსატყორცნების გუგუნის წყდება. გენერალ ლებედის სადესანტო-იერიშიმტანი ბრიგადა თავდასხმისთვის ემზადება. კამანის შუაგულში, პატარა გორაკზე, წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესიაა. სწორედ იმ დროს, როდესაც სოფლის განაპირას დენტის სუნი ტრიალებს, აქ საკმეველი იწვის. გარეთ სროლებია, აქ ლოცულობენ. ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ებრძვიან, აქ, საკურთხეველთან, მაცხოვრის ხატის წინ, აფხაზი იური ანუა და ქართველი მამა ანდრია გვერდიგვერდ ჩაჩოქილან. მაკურთხე, მამაო, _ სთხოვს მოძღვარს იური ანუა.

დარწმუნებული ხარ, რომ უფალს თავი სრულიად მიანდე?

დარწმუნებული ვარ.

მაშ, არც ამქვეყნიური, არც მარადიული სატანჯველისა არ გეშინია?

არ მეშინია.

გინდა, უფრო ღირსეულად წარსდგე უზენაესის წინაშე?

მინდა, მამაო.

იყოს ნება ღვთისა. . . მამა ანდრიას მომცრო სათავსოდან სტიქარი გამოაქვს, ანუას აცმევს და იპოდიაკვნად აკურთხებს. ამ წუთიდან იური ანუა, რომელმაც საერო ცხოვრება მთლიანად კამანის წმინდა ადგილების მოვლა-პატრონობას მიუძღვნა, სასულიერო პირია. მან აღადგინა კამანის ეკლესია და წმინდა ვასილისკოს წამების ადგილი, სოხუმის საკათედრო ტაძრიდან კვლავ სოფელს დაუბრუნა იოანე ოქროპირის ქვის სარკოფაგი, იოანე ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის ადგილამდე აღმართა 1500-საფეხურიანი კიბე. . . იური ანუა ქველმოქმედია. მას სოფლისთვის კიდევ ბევრი რამის გაკეთება სურს, მაგრამ. . . სიცოცხლის ბოლომდე ძალიან ცოტა დრო რჩება. . . სულ რაღაც ათიოდე საათის შემდეგ ანუასა და მამა ანდრიას ბედი სამუდამოდ გადაეჯაჭვება ერთმანეთს. 27 წლის ბაღდათელმა მამა ანდრიამ, პაატა ყურაშვილმა, აფხაზეთის ომის მსვლელობისას დატოვა სხალთის მონასტერი, რომ კამანის ტაძარში დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი საღმრთო ლიტურგია აღესრულებინა. ერთხელ, როდესაც ფრონტისპირა სოფლის დატოვება ურჩიეს, მშვიდად გაიღიმა და თქვა: განსაცდელი უფალმა სულის საცხოვნებლად მოგვივლინა. . . მხოლოდ ღვთის წმინდა ნებას ვემორჩილები. . . 5 საათი და 20 წუთი. პირველი საგუშაგო. თენდება. წვიმს. სპეცდანიშნულების ბატალიონი სანაპირო ზოლისკენ მოიწევს. ის სოფელს ბრძოლის დაწყებას ყუმბარმტყორცნების გამაყრუებელი გრუხუნით ამცნობს. ხიდთან, სანგარში ჭურვი ფეთქდება. ადამ გვიჩიანი ძლიერ დარტყმასა და აუტანელ ტკივილს გრძნობს. მარჯვენა ფეხი არ ემორჩილება. ძვალი გადამსხვრეული აქვს. დაფლეთილი შარვლიდან სისხლი სდის. წუთით გონს კარგავს. მომდევნო ჭურვის ხმა აფხიზლებს. ვიღაც განწირულად ყვირის. ორ ზურას _ გიორხელიძესა და გურჩიანს _ სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობა. ეს პირველი მსხვერპლია. პირველი მსხვერპლია მოწინააღმდეგის მხარესაც. საგუშაგოდან გახსნილი ცეცხლი ბოვეიკების რამდენიმე ათეულს ანადგურებს, მაგრამ 5 კამანელის პირისპირ, ხიდის თავში, ახლა სხვა, უფრო რიცხვმრავალი შენაერთი დგას. ხიდი არ ფეთქდება. ჩანს, განადმეს.

6 საათი და 35 წუთი.

მეორე საგუშაგო.საერთო საცხოვრებლიდან მოჩანს ადგილი, სადაც გუმისთა სოფლის გარშემო ნახევარკალს ქმნის. მოჩანან ჯავშან-ჩაჩქანიანი ჯარისკაცებიც. `დროა, _ საშა გამსახურდია სანაპიროდან გამოყვანილ მავთულებს დენის წყაროს უერთებს. ტყეში ჩამარხული ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო 5 ნაღმიდან 3 სკდება. რუხ-მოყავისფრო ბული და ცეცხლის ენები, დაღწილი ტოტები, მიწის გორახები, ადამიანები ერთმანეთში ირევიან. აფეთქების ტალღა `ბოევიკების პირველ მწკრივს ადგილზე ცელავს. მათი დამწვარი, დასახიჩრებული, დანაწევრებული გვამები მდინარის ზედაპირზე ტივტივებს.

`ცეცხლი, _ ყვირის ჯიმშერ გადრანი. 9 ავტომატის მჭიდები ელვისებურად იცლება.

`ბოევიკების მომდევნო მწკრივი უკან, ტყისკენ იხევს.

`ტყვიამფრქვევის ჯერიც დადგა, _ ამბობს ჯიმშერი და წითელი კორპუსისკენ მიხობავს. სხვებიც მიჰყვებიან. ჭურვების ნამსხვრევები სეტყვასავით ცვივა. თანმხლებთაგან ერთი იღუპება, მეორე საგუშაგოზე ბრუნდება. გადრანი კორპუსში შერბის.აი, აფხაზებისთვის წართმეული `დეშკა, 56-ვაზნიანი ლენტით. ჯიმშერი იარაღს ტენის და, სანამ ლულას სანაპიროსკენ მიმართავს, პირჯვარს იწერს: `ღმერთო, მაპატიე კაცის კვლა, თან დამეხმარე, რომ ყოველი მეორე ტყვია მაინც არ ავაცდინო სამიზნეს. . . 8 საათი და 45 წუთი.

პირველი საგუშაგო. `ალყაში ვართ. . . აბა, ყველანი ჩქარა შტაბისკენ! _ ბრძანებას გასცემს მარჯვენა ფეხში დაჭრილი ოცმეთაური, ადამ გვიჩიანი და თანამებრძოლებს, რომლებიც წამოყენებას უპირებენ, ხელით იშორებს, _ `წადით. . . სროლას არ შევწყვეტ. . . დაგიცავთ. `კი მაგრამ. . . `არავითარი მაგრამ. . . ყველანი მიდიხართ-მეთქი, გასაგებია?. . . მხოლოდ მე ვრჩები.თანამებრძოლები, ეკლესიის გავლით, სოფლის ცენტრისკენ გარბიან.

წმინდა ოქროპირის სახელობის ტაძარს მრევლი მისწყდომია. წინამძღვარი მამა ანდრია და იური ანუა ჭიშკარს ალებენ. ხალხი ეზოში, შემდეგ ტაძარში შერბის. `ყველაფერი ღვთის ნებაა, _ სიმშვიდეს ინარჩუნებს მამა ანდრია, _ ღმერთს არ მივუტოვებიავართ. ეცადეთ, ქრისტიანული ღირსებითა და მორჩილებით მიიღოთ ყველაზე მძიმე განსაცდელი.

მეოთხე საგუშაგო.ფერმებთან, სანგარში, ეთერ ჩხეტიანის ორივე ვაჟი იღუპება. უმცროსი _ 15 წლის მერაბი _ ზუსტად ერთი თვის წინ, 5 ივნისის შეტაკებისას, მოკლეს. მეხუთე საგუშაგო.წმინდა ვასილისკოს წყაროსთან ჩასაფრებული ეგნატე კვიციანი სნაიპერის სიზუსტით ისვრის. მისი საიმედო და მოხერხებული სამალავიდან მოწინააღმდეგის გუმისთისპირა, მოშიშვლებული პოზიციები ხელისგულივით მოჩანს. მიზანში ამოღებული ჯარისკაცები წყალში ცვივიან.

ეს ოცდამეერთე, . . ესეც ოცდამეორე, _ აზარტში შედის კვიციანი.

შეტევა 8 საათზე მეტხანს გაგრძელდა. დილის 5-დან შუადღის 2-ის ნახევრამდე სადესანტო-იერიშმიმტანმა ბრიგადამ გუმისთის გადალახვა და სოფელში შეღწევა ვერ

შემლო. ეშერას მთაზე განლაგებული რუსულ-აფხაზური ბატალიონების სარდლობამ ალყის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. მორიგი, უნაყოფო იერიშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა: მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი _ კამანი _ კბილებამდე შეიარაღებული, რიცხვმრავალი შენაერთებით საიმედოდ დაცულს ჰგავდა. . .

ბრძოლის ბედი, ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მოულოდნელად ქართველების მხრიდან გახსნილი ინტენსიური ცეცხლი კანტი-კუნტმა სროლებმა შეცვალა. . რატომ? რა მოხდა კამანში?

5 ივლისი, 13 საათი და 25 წუთი.

შტაბი.მაიორი ზაზა პაკელიანი შრომას რაციით უკავშირდება და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ, ერთსა და იმავეს იმეორებს: ` . . ხალხი გაწყდა. . . 20-იოდე კაციღა დავრჩით. . . ტყვია-წამალი ილევა. . . წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევთ. . . სადაც არის, სოფელში შემოვლენ. . . ვიხოცებით. . . სასწრაფოდ გამოგზავნეთ დამხმარე ძალა, შეიარაღება, ტყვია-წამალი. . . კავშირი წყდება. ზაზას შუბლზე ოფლს ასხამს, დელავს, სახეზე უიმედობა ეტყობა, შტაბის წევრებს მაინც მტკიცე ხმით მიმართავს: ` გამაგრდით, ბიჭებო. . . დარწმუნებული ვარ, შევსება მოვა.

13 საათი და 30 წუთი.

პირველი საგუშაგო.თავსხმა წვიმაა. ხიდქვეშ, სანგარი წყლით ივსება. ადამ გვიჩიანი, რომელმაც სროლა ყუმბარმტყორცნით აფეთქების შემდეგდა შეწყვიტა, უგრძნობლად წევს.მოიერიშე ბრიგადა კამანში შედის. ბრძოლა უკვე სოფლის შუკვებში, ლამის თითოეულ სახლთან მიმდინარეობს.

ტაძრის ეზოში ქალი შერბის. სამხედრო ფორმა აცვია. მდევარი გზას უღობავს. ქალი ხელიდან უსხლტება. ცდილობს, სამრეკლომდე მიაღწიოს. ` მიშველეთ! _ გული ყელში ებჯინება. ` ბოევიკების ფეხის ხმა და ქოშინი გარკვევით ესმის. სამრეკლოსთან ძალა ელევა. გრძნობს, სადაც არის, მკლავში სწვდებიან. . . ` ოღონდ ტყვეობა არა. . . ქალი ჯიბიდან ხელყუმბარას იღებს. სანამ მდევრები გონს მოსვლას მოასწრებენ, ყუმბარა სკდება. აფეთქების ადგილას ხუთი გვამია: ` ბოევიკების და. . . მერი პაკელიანის.გამაყრუებელი გრუხუნი, წივილ-კივილი ტაძარშიც აღწევს. ` მოემზადეთ ზიარებისთვის, _ მამა ანდრიას საკურთხევილიდან ბარძიმი გამოაქვს და თითოეული მლოცველისგან აღსარებას იბარებს. ` ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია, _ კითხულობს იოანეს სახარებას იური ანუა. ` ღვთისმშობელო, ღვთისმშობელო, _ ჩურჩულებს ანუას მეუღლე, ზოია ადამია. ` მეშინია, წმინდა გიორგი, დაგვეხმარე, _ ცრემლმორეული იწერს პირჯვარს ანუას ქალიშვილი, მანანა.კარზე ბრახუნია, _ ` გააღეთ! ` ღმერთო, გვიშველე!. . . ` გააღეთ! _ ბრძანებას ავტომატების ჯერი მოსდევს. ქვის იატაკს სარკმლიდან ზრიალით ჩამოცვენილი შუშის ნამსხვრევები ფარავს. ბრახუნი მეორდება. წუთიც და, მოშლილ საკეტს შემოღეწავენ.იური ანუა მამა ანდრიას უხმოდ შეჰყურებს. ` გააღე, _ ნებას რთავს წინამძღვარი და ორივენი გასასვლელისკენ მიემართებიან.საკეტი იმტვრევა. მამა ანდრია მკერდზე მიკრული ღვთისმშობლის ხატით ცდილობს იარაღშემართული ბრბოს შეკავებას:

`ოლონდ ხალხს ნუ ესვრით!

`ხმა გაკმინდე!. . . _ ხატს ხელიდან გლეჯენ, გარეთ გაჰყავთ. გვამებით მოფენილ, სასაკლავოდ ქცეულ ეზოში ათიოდე `ბოვეიკი ანუას გარს შემორტყმია. `ვინ ხარ? _ უბღავიან, _ `აფხაზი? მერე ქართველებთან რა გინდა? რაო? ძმები ვართო? რეებს ამბობ? . . . მამა ანდრიას ზურგში კონდახს ურტყამენ, _ `დაიჩოქე, დაიჩოქე მეთქი! მოძღვარი ლოცვას იწყებს. ტყვია კეფაში ხვდება, მაგრამ პირქვე კი არა, გულალმა ეცემა. ტაძარში ვიღაც შერბის და გაჰყვირის, _ `თქვენი მოძღვარი მოკლეთეს.. . ჯარისკაცები კედლებს ცხრილავენ, იოანე ოქროპირის სარკოფაგს ძირს ანარცხებენ, ზედ ფეხით დგებიან, ლეწავენ: `განძი სად არის, თქვენი. . . სროლა-სროლით შერბიან სათავსოში. იქ მხოლოდ 12 მოხუცი ქალი და იური ანუას ცოლ-შვილია. . . მეორე საგუშაგო. საერთო საცხოვრებელში ექვსნილა დარჩნენ. გუნტერ გულედანი მოკლეს, მერი პაკელიანი ტაძარში უნდა იყოს, ჯიმშერ გადრანი _ შტაბში.

შენობის სახურავს ცეცხლი ეკიდება. 27 წლის დათო გადრანი მეორე სართულზე ასვლას ამოდ ცდილობს. კიბე იწვის. დანარჩენები ზემოთ არიან. გადრანი ფანჯრისკენ მიხობავს. ფანჯრის წინ `ბოვეიკთა ასეულია. `რა ვქნა? _ დათოს გონება გამალებით მუშაობს, _ `სროლა განვაგრძო? უკანასკნელი `რაჟოკი დავცალო? რა აზრი აქვს? სიკვდილი ან ტყვედ აყვანა არ ამცდება. . . , _ სამალავს ეძებს და უეცრად მისი დამაბული მხერა ძველთაძველ, ნესტიან, ჩრჩილისგან დაჭმულ ლეიბებზე ჩერდება. . . მეორე სართულზე, ცოლ-ქმარი _ ლოლა გერლიანი და ანატოლი ჩაჩხიანი _ `არსენალის ნაშთს ამოწმებს. თითო-ოროლა ტყვია, რამდენიმე ხელყუმბარა და ერთი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვილა დარჩენიათ. იარაღს ძირს დებენ, ცეცხლმოდებული სარკმლიდან შენობისკენ მწყობრი ნაბიჯით დაძრულ `ბოვეიკებს გაჰყურებენ, სდუმან. `გავიდეთ? _ გაუბედავად კითხულობს ანატოლი. `რას ამბობ? _ არ ეთანხმება ლოლა. გარეთ შეტევისწინა დამაბული სიჩუმეა. შენობის ირგვლივ კედელივით აღმართული ასეული გადამწყვეტი თავდასხმისთვის ემზადება. შტაბი. ე.წ. თეთრი კორპუსის მარცხენა ფლიგელში, პირველ სართულზე ჩასაფრებულ მეზობლებს ჯიმშერ გადრანი და მამა-შვილი კახიანები შეერთებიან. ჯიმშერი ჭიმკრიდან შემოჭრილ მოწინააღმდეგეს ცეცხლს უხსნის. ტყვია ზუსტად ხვდება სამიზნეს, მაგრამ `ბოვეიკი ერთს ჩაიჩოქებს, მერე კვლავ ფეხზე დგება და წინ შეუფერხებლად მიიწევს. `ჯანდაბა, _ ამბობს გამწარებული გადრანი, _ `ჯავშანჟილეტები აცვიათ. თავსა და ფეხებში ესროლეთ! გარეთ ყურისწამლები გრუხუნია. ერთდროულად რამდენიმე ტყვიამფრქვევი კაკანებს, ერთდროულად რამდენიმე ნაღმი და ყუმბარა სკდება, მაგრამ ქვით ნაგები თეთრი კორპუსის სქელ, მყარ კედლებს ვერაფერი ანგრევს. ზაზა პაკელიანი კვლავ შრომას უკავშირდება, მერე ტყვია-წამლის ნაშთს თანაბრად ანაწილებს: `ორ-ორი მჭიდი _ შეტევის მოსაგერიებლად, თითო ხელყუმბარა _ ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, თავის ასაფეთქებლად.

მეოთხე საგუშაგო.

ელგუჯა გვიჩიანს შვილი და დისშვილი სამშვიდობოზე გაჰყავს. თვითონ უკან ბრუნდება. სოფლის განაპირას, გვამებით სავსე დიდ თხრილთან, აფხაზ მეომრებს ხედავს. იქვე, კამანელი მოხუცი ნიჩბის ტარს დაყრდნობია.

`რა ხდება? _ კითხულობს ელგუჯა. ჯიბეებში ხელეზჩაწყობილი, სვანურქუდიანი, წვერმოშვებული, უწყინარ ბერიკაცს ჰგავს, თუმცა არავინ იცის, რომ ბრეზენტის საწვიმარქვეშ უკვე გადატენილ და ჩახმახშეყენებულ მოკლე სადესანტო ავტომატს მალავს. `ქართველებისთვის საფლავს ვთხრით, _ უდარდელად პასუხობს ერთ-ერთი მეომარი და უეცრად პირზე ღიმილი ეყინება: ლაბადის კალთიდან შავად მოლაპლაპე ლულა მოჩანს, _ `ჰეი, ვინ ხარ? _ ყვირის გონსმოსული, თავზარდაცემული და სანამ მხარზე გადაკიდებული იარაღისკენ ხელის წაღებას მოასწრებს, ქალაახდილი, თხრილში ვარდება. `ჯანდაბამდის გზა გქონიათ! _ ავტომატის მჭიდს ელვისებურად ცლის და აყაყანებულ აფხაზთა მთელ ათეულს ადგილზე ცელავს ელგუჯა გვიჩიანი. მეხუთე საგუშაგო.ეგნატე კვიციანი მეზობელი სახლებიდან გამოცვნილ ქალებს ტყისკენ სროლა-სროლით მიუძღვის. `კამანი უკვე აღებულია. . . მარტოდმარტო რას გახდები?. . წამოგვეყვი, ეგნატე. `ჰო, კარგი. . . იარეთ. . . მალე შემოგიერთდებით, _ ჰპირდება მეზობლებს და შინისკენ გარბის. შვილების დანატოვარ ავტომატებს პოულობს, კაკლის ხის ქვეშ სახელდახელოდ მოწყობილ სანგარში ჩააქვს, სხვადასხვა ადგილას ათავსებს და მონაცვლეობით ისვრის, რომ მოწინააღმდეგეს შენაერთთან ბრძოლის შთაბეჭდილება შეუქმნას. მიზანს ერთხელაც არ აცილებს.

13 საათი და 40 წუთი.

მეორე საგუშაგო.საერთო საცხოვრებლის წინ გამწვრივებული ასეული ბრძანებას ელის. არცერთი სიტყვა, არავითარი მოძრაობა. მხოლოდ ლოდინი. გაქვავებული სახეები, მკვდრული მდუმარება და უეცრად _ `ცეცხლი!ოთახში, რომელსაც 5 კამანელი შეხიზვნია, ფანჯრის მინები ზრიალით იმსხვრევა და აფეთქებების ტალღას ტყვიების, ჭურვის ნამსხვრევების ნიაღვარი შემოაქვს.ცეცხლი დაბლა მოიწევს, კედლებს მოჰყვება, დერეფანში გიზგიზებს. აალებული იატაკი ტკაცუნობს. ჩამონგრეული ჭერიდან ბათქაში ცვივა. ირგვლივ საშინელი მხუთრი და ბუღია. სუნთქვა ჭირს. . . უეცრად სროლა წყდება. `ბოვეიკები ავტომატების, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების ლულებს ძირს ხრიან. ერთხანს კვლავ უძრავად დგანან, მერე კი. . . მიდიან. `დახოცილები ვგონივართ, _ ამბობს ანატოლი. `გადავრჩით, _ შვებით იღიმება ლოლა.

13 საათი და 50 წუთი.

მეორე საგუშაგო.

პირველ სართულზე ვიღაც დააბიჯებს. სუნთქვაშეკრული დათო გადრანი სამალავიდან იხედება. ორ `ბოვეიკს აფხაზი მეგზური ახლავს. ჩამწვარ კიბეს უახლოვდებიან. მეორე სართულზე ასვლას ცდილობენ. ამაოდ. აქეთ-იქით იხედებიან, შენობას ზვერავენ, ხმადაბლა საუბრობენ, იცინიან.მეგზური ძველთაძველ, ჭუჭყიან, ჩრჩილისგან დაჭმულ ლეიბებთან ჩერდება. ზედ ძაღლი წევს. აფხაზი ძაღლს დაჰყურებს, მერე ჯიბიდან სიგარეტს იღებს, უკიდებს, მშვიდად აბოლებს, ნამწვს იატაკზე აგდებს, გარეთ გადის და `ბოვეიკებს სოფლის ცენტრისკენ მიუძღვის.იმავე წუთს ლეიბქვემოდან ვიღაც გამოდის. . . , ეს დათო გადრანია.

14 საათი.

მეხუთე საგუშაგო. `ორმოცდამეთხუთმეტე, ორმოცდამეთექვსმეტე, . . _ აზარტში შესული

ეგნატე კვიციანი საფრთხეს ვერ გრძნობს. . . მაგრამ ვაზნები იღევა. ეგნატე უკანასკნელ მჭიდს დებს ავტომატში. ისვრის და. . . ლულიდან ტრასირებული, მანათობელი, ტყვიები ცეცხლოვანი ნაკადით იფრქვევა. . . `ჯანდაბა, ნუთუ სამალავი გავეცი? _ ფიქრობს თავზარდაცემული კვიციანი და იმავე წამს ყუმბარმტყორცნის გრუხუნიც ისმის. შტაბი.ზაზა პაკელიანი საბოლოოდ უკავშირდება შრომას: `ისინი უკვე შტაბში არიან. . . ბარემ ჩვენთან ერთად დაიხოცონ. . . ჩაინიშნეთ კოორდინატები და დაუყოვნებლივ დაგვარტყით! . . 14 საათი და 10 წუთი. `ლოდინს აზრი აღარ აქვს, . . _ ამბობს ჯიმშერ გადრანი.

`რა ვქნათ?

`ფანჯრიდან გადავხტეთ.ფანჯრის წინ, 20-იოდე მეტრში, ძველი შენობის ნანგრევებია. მერე ტყე იწყება. `ნანგრევებამდე თუ მივალწვეთ, აღარაფერი გვიშავს. . .ზაზა ფიქრობს: `კარგი. . .ორ-ორად ხტებიან. წელში მოხრილნი გარბიან. ნანგრევებთან ჩერდებიან. დანარჩენებს უცდიან. ისვრიან.რვა მებრძოლი სამშვიდობოზეა. ბოლოს მალხაზ კახიანი ხტება. გარბის. ტყვიები ფეხდაფეხ მისდევს. ტყის პირამდე სამიოდე ნაბიჯიღა რჩება. ერთი, ორი. . .მამა _ ვლადიმერი _ ხედავს, უეცარი ტკივილისგან ადგილზე როგორ შემდება და შემდეგ, ხელგაშლილი, პირადმა, მოწყვეტით როგორ ეცემა კეფაში სასიკვდილოდ დაჭრილი მისი შვილი . . .ყველაფერი დამთავრდა. სროლა დღის ბოლოს შეწყდა. მეორე დილას სოფელში ჩეჩნურ-სომხური ბატალიონები გამოჩნდნენ.

6 ივლისს, სამშვიდობოზე გასულმა ჯიმშერ გადრანმა შრომის მთიდან გარკვევით დაინახა სამი თვითმცლელი, რომლითაც სადესანტო-იერიშმიმტანი ბრიგადის მებრძოლთა გვამებს ეშერისაკენ მიასვენებდნენ. მსხვერპლი დიდი იყო.

დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, 1993 წლის 15 აგვისტოს, კამანის გმირები სოხუმთან ახლოს, სოფელ მაჭარაში დაკრძალეს.5 ივლისს 32 კამანელი მებრძოლიდან 23 დაიღუპა.დასახიჩრებული, გონდაკარგული ადამ გვიჩიანი ტყვედ ჩაიგდეს და წამებით მოკლეს.ადამის ბიძა, ელგუჯა გვიჩიანი, აფხაზთა დაჯგუფების გაჟლეტის გამო, დახვრიტეს და დაწვეს.ეგნატე კვიციანი, რომელიც მოწინააღმდეგეს ცხრა საათის განმავლობაშიმარტოდმარტო იგერიებდა, ყუმბარმტყორცნით ააფეთქეს.დაჭრილი ვლადიმერ კახიანი ჯერ აწამეს, მერე თავი მოკვეთეს.ზაზა პაკელიანი, 5 ივლისსვე, მესამე საგუშაგოსთან მოკლეს.საშა გამსახურდია, მერი პაკელიანის მეუღლე, სოფლის აღებიდან ერთი კვირის თავზე დახვრიტეს.

ქართველთა გვამები ადგილობრივ მოხუცებს დაამარხვინეს და შემდეგ ისინიც ჩახოცეს.ტაძარს შეფარებული 12 ხანდაზმული ქალი კი დაინდეს.ანუას ცოლ-შვილმა ტყვეობაში 52 დღე დაჰყო. მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ შეიტყვეს, რომ იური ანუა `ბოვეიკებმა წმინდა ვასილისკოს წყაროსთან სასტიკად სცემეს, ფეხები გადაუმსხვრიეს, ბოლოს ხეზე დაჰკიდეს და დაცხრილეს, თუმცა მის გვამს ჭირისუფლებმა ვერსად მიაგნეს.მამა ანდრია, რომლის სისხლი თურმე სამი დღე-ღამის განმავლობაში არ შედედდა, ხოლო სხეული მწველი მზის ქვეშ არ გაიხრწნა, ტაძრის კედელთან დაკრძალეს.ანატოლი ჩაჩხიანი და ლოლა გერლიანი გადარჩნენ. მათ 5 ივლისის ღამე ინვალიდთა საერთო საცხოვრებლის ბუნკერში გაათიეს, ხოლო გამთენიისას გუმისთის

დინებას შრომისკენ დაუყვანენ. შრომაში ელგუჯა გვიჩიანის ვაჟი, გურამი, დათო და ჯიმშერ გადრანები დახვდნენ.კამანის ალებიდან ზუსტად 22 დღის შემდეგ, 1993 წლის 27 ივლისს, მეორე სამშვიდობო _ რუსულ-ქართულ-აფხაზური _ ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ სროლები მხოლოდ თვენახევრით შეწყდა. 16 სექტემბერს სოხუმის შტურმი დაიწყო. 27-ში ქალაქი დაეცა.30 სექტემბერს გუმისთის გაერთიანებული ფრონტების მთელი შემადგენლობა მდინარე ენგურს მიადგა. ხიდზე რუსული საგუშაგო გაიხსნა და ზედ აფხაზეთის დროშა აფრიალდა.ამ დღიდან მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოში ტერიტორია ფსოუდან ენგურამდე სიმბოლურად ახალ სახელმწიფოებრივ საზღვრებში მოექცა. ორი ერის თანაცხოვრება შეწყდა. საქართველომ აფხაზეთი დაკარგა. .

.შორენა ლებანიძე

სოხუმიდან თხუთმეტობდე კილომეტრში მდებარეობს აფხაზეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი კამანი.

კამანი ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში ქალაქ კომანად მოიხსენიება, შემდეგ ჩვენამდე რატომღაც კამანად მოვიდა, თუმცა ლიტერატურაში რაც კამანის სიწმინდეებთან არის დაკავშირებული, უფრო ხშირად კომანს შევხვდებით. მე კი, როგორც ყველა მიჩვეული ისე მოვიხსენებ სოფელ „კამანს“. კამანი მართლაც საოცრად ლამაზი სოფელია, ის სოხუმიდან ჩრდილოეთით მდებარეობს. კამანში მოსახვედრად, ქალაქიდან ბარათაშვილის ქუჩას უნდა ავყვეთ.

სოხუმიდან (ბოტანიკური ბაღის შესასვლელიდან) სამანქანო გზით თუ ვიარეთ კამანამდე, ზუსტად 14 კილომეტრის გავლა მოგვიწევს. გზად კიდევ რამოდენიმე სოფელს მოვიტოვებთ უკან (თავისუფლება, ცუგუროვკა, პირველი კამანი, შრომა). შრომა დიდი სოფელია, კამანიც შრომის საბჭოში შედიოდა. შრომის საბჭო 800 კომლს ითვლიდა, მათ შორის კამანის 40-ამდე კომლი. შრომიდან დაღმართი იწყება და მიხვეულ-მოხვეული გზით ჩავდივართ კამანში. ჯერ დიდი ხიდი უნდა გავიაროთ, ხიდის შემდეგ გზა სამად იყოფა. მარჯვნივ (აღმოსავლეთით) მარმარილოს მოსაპოვებელი კარიერებია, მარცხნივ (დასავლეთით) კამანის გზაა, მის პარალელურად მარჯვნივ და ზევით კი სოფელი ახალშენის გზაა, საიდანაც სოხუმძქესზე და შუბარაზე გავდივართ. ამ გზაჯვარედინიდან სანამ კამანის შუაგულში შევალთ ჯერ მარმარილოს ქვის დამამუშავებელი კარიერია, მერე თითქმის კილომეტრი უნდა ვიაროთ, სანამ მოსახლეობა დაიწყება. კამანი ორ მდინარეს შორისაა მოქცეული და სოფლის შუაში (სამხრეთით) ეს ორი მდინარე ერთმანეთს უერთდება.



ვალო ჩხეტიანი



მე-8 ბატალიონის III ასეული (05.10.1920) ვალო ჩხეტიანი ერთი უწყინარი, დინჯი და ღრმად პატიოსანი ადამიანი იყო, როგორც მისი ოჯახი. ჰყავდა მეუღლე და ერთადერთი ვაჟიშვილი. ოჯახი გვიან შექმნა და შესაბამისად შვილიც გვიან შეეძინათ, რომელსაც ცივ ნიავს არ აკარებდნენ. ომის პერიოდშიც რადგან შვილი მებრძოლთა რიგებში იყო, მშობლებმაც ვერ მიატოვეს კამანი. როდესაც კამანში სიტუაცია დაიძაბა, მისმა შვილმა ცოლშვილი მოაშორა იქაურობას და აღმოსავლეთ საქართველოში წაიყვანა. გავიდა დრო, ომი კი სულ უფრ და უფრო მძაფრ სახეს ღებულობდა, ჩვენი მეგობარი კი არა და არ გვიბრუნდებოდა, მებრძოლი ხალხი კი ისედაც ცოტანი ვიყავით.

ერთ დღეს ცენტრალურ შტაბიდან დაგვიკავშირდნენ და შეგვატყობინეს, რომ ჩვენი ერთერთი თანამებრძოლი სოხუმის I სავადმყოფოში დაჭრილი მიუყვანიათ. არა და ჩვენ ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ვიყავით და ვიცოდით, რომ ჩვენთან არავინ დაჭრილა. ეს დაჭრილი ის ჩვენი თანამებრძოლი აღმოჩნდა, რომელმაც ცოლშვილი სამშვიდობოს წაიყვანა. როგორც კი ცოლშვილი ნათესავებს მიაბარა, უკან მობრუნებულა, მაგრამ თბილისიდან სოხუმის მიმართულებით მხოლოდ სამხედროებს უშვებდნენ და პრივილეგია მაშინდელ მხედრიონელებს ეძლეოდათ. ესეც მხედრიონში ჩაეწერა და ბევრი

რო არ გავაგრძელო, ოჩამჩირის რაიონის ერთერთ პოზიციებზე ბრძოლა მოუწია, სადაც ორივე ქვედა კიდურებში ტყვიამფრქვევის ტყვიებით ჭრილობა მიიღო! ვალო ჩხეტინი 5 ივლისის შეტაკების ერთერთი მომსწრე იყო, რომელიც იმავე ღამეს სხვა ხანდაზმულ კამანელებთან და მეუღლესთან ერთად ტყვედ აიყვანეს. ეს ტყვეები კი ერთ-ერთი ოჯახის (ს. მუშკუდიანი) სარდაფში მოათავსეს და გუშაგიც მიუჩინეს! ამ ოჯახის მასპინძელი ს. მუშკუდიანი და ვ. ჩხეტინი აფხაზებს ყოველ დილას გაჰყავდათ და საღამოს უკან მოჰყავდათ. დღის განმავლობაში ისინი კამანის მებრძოლ, გმირულად დაღუპულ ბიჭებს ასაფლავებდნენ! შინ მოსულები კი სიტყვას ვერ ძრავდნენ და ვერ ამხელდნენ, თუ ვინ ნახეს დაღუპული, რადგან ტყვეებთა შორის იყვნენ დედები, ან ნათესავები, რომელთა შვილებიც ახლახანს მიწას მიაბარეს... მხოლოდ მეუღლეს უმხელდა ჩუმად, როცა ხელსაყრელ დროს გამონახავდა.

ასე დუმილში და მოგონილ ამბებში გაატარეს ერთი კვირა, სანამ ყველა ცხედარს სასუფეველი არ მიუჩინეს და ბოლოს, როცა უკვე აღარავინ დარჩა დასამარხი და კიდევ ერთხელ, საბოლოოდ გაიყვანეს ნიჩბებით ხელში, უკვე მიხვდნენ, რომ საფლავი თავიანთი დასამარხი უნდა ყოფილიყო, გათხრაზე უარი განაცხადეს და ასე დაუმარხავნი ვიხილეთ, როდესაც 22 დღის შემდეგ, მივალწიეთ მოლაპარაკებებს და შედგა დაღუპულთა გადმოსვენების და ტყვეების განთავისუფლების დღე!

შოთა კვანჭიანი



მე-8 ბატალიონის III ასეული

რევაზ კვანჭიანი



მე-8 ბატალიონის III ასეული

მამა ანდრია (პაატა ყურაშვილი)



1966 წლის 3 აპრილს ელგუჯა ყურაშვილის ოჯახში ვაჟიშვილი დაიბადა. სახელად დაარქვეს პაატა – საქართველოს დიდი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ვაჟიშვილის პაატას საპატივცემულოდ. (პაატა სააკაძე ქართველი ერის კეთილდღეობას შეეწირა). პაატას მშობლებმა აღზარდეს 8 შვილი. ოთხი შვილი ეკლესიის მსახური გახდა (მამა ანდრიას სიკვდილის შემდეგ, მისი ერთ-ერთი ძმა, იოანე, გახდა მღვდელი. დები: ერთი მონაზონი ვასილისა, ხოლო მეორე – მორჩილი ნანა ამჟამად მონასტერში ცხოვრობენ). პაატა ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო. სკოლაში ჩემპიონი იყო კარატეში და ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში. უყვარდა ლიტერატურა, განსაკუთრებით გოდერძი ჩოხელის მოთხრობების კითხვა. ჰყავდა ბევრი მეგობარი, და მსგავსად მისი თანატოლებისა უყვარდა ქეიფი და დროსტარება. ასე გაილია რამდენიმე წელი. ეს წლები აღმოჩნდა სრულიად საკმარისი იმისთვის, რომ მიმხვდარიყო ასეთი ცხოვრების უაზრობას. ცხოვრება, რომელსაც ის ეწეოდა, არ იყო მისთვის დამაკმაყოფილებელი. მან დაიწყო ძებნა იმ სულიერი საგანძურისა, რომელიც დაკარგა.

თვრამეტი წელი რომ შეუსრულდა, პაატა ჯარში გაიწვიეს. სამხედრო ვალდებულებას იხდიდა უნგრეთში. მისი ერთადერთი სიხარული საქართველოდან მიღებული წერილები იყო. თვითონაც ხშირად უგზავნიდა წერილებს ახლობლებს. განსაკუთრებული სინაზით და

სიყვარულით გამოირჩეოდა დედისადმი გაგზავნილი წერილები. მან კეთილსინდისიერად მოიხადა სამხედრო ვალდებულება. თუმცა სამშობლოში დაბრუნებულმა პროტესტი იმით გამოხატა, რომ თავი მოუყარა ყველა ნივთს, რაც სამხედრო სამსახურს აგონებდა, და მდინარეში მოისროლა. ამგვარად, უსიამოვნო მოგონებები, რაც ჯართან აკავშირებდა, წყალს გაატანა.

1992 წლის 3 აპრილს, მისი დაბადების დღეს ბერად აღკვეცეს. მას უწოდეს ანდრია (მოციქულ წმიდა ანდრია პირველწოდებულის საპატივცემულოდ, რომელმაც სახარება პირველად აჭარაში იქადაგა). იმავე წლის აგვისტოში იგი მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს და მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს.

მამა ანდრია ფსალმუნებს ყოველდღე თავიდან ბოლომდე კითხულობდა. დღეში 200 მეტანიას აკეთებდა. შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს დაუჯდომელს უკითხავდა და ჯანმრთელობის პარაკლისს წმიდა ანდრია პირველწოდებული ხატთან იხდიდა.

ბერი სიმონი:

მეუფე დანიელის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად დანიშვნის შემდეგ, მისი სულიერი შვილები მამა ანდრია და მე, სხალთის მონასტრიდან სოხუმში გადავედით (იმ დროისათვის მე ვიყავი მორჩილი გაბრიელი). სოხუმის ქუჩები გავერანებული დაგვხვდა. ჩვენს გარშემო შემზარავი სიჩუმე გამეფებულებოდა. სროლების ხმა კანტიკუნტად, ისიც შორიდან აღწევდა. ქუჩებში ჯარისკაცები აქა-იქ თუ გამოჩნდებოდნენ. ქალაქში წესრიგს სამხედროები იცავდნენ. 1993 წლის თებერვლის შუა რიცხვები იყო. აღდგომის მარხვის დაწყებამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. მეუფე დანიელის კურთხევით მე და მამა ანდრია კომანისკენ გავემართეთ. ჯერ ფეხით მივდიოდით, შემდეგ ავტობუსით... კომანამდე მიღწევა დიდი გაჭირვებით მოვახერხეთ. მდინარე გუმისთის სანაპიროს გასწვრივ განლაგებული იყვნენ აფხაზ სეპარატისტთა სამხედრო ჯგუფები, რის გამოც მდინარის გასწვრივ მოგზაურობსა სახიფათო იყო.

კომანის წმიდა იოანე ოქროპირის სახელობის ტაძარი სოფლის შუაგულში, პატარა გორაკზე იდგა. ჩვენ, ეკლესიასთან იური ანუას ოჯახი შემოგვეგება. მათ დიდად გაიხარეს ჩვენი მისვლით. მათი ასეთი დიდი სიხარულის მიზეზი იყო ის, რომ ტაძარს მღვდელი არ ჰყავდა, რის გამოც ტაძარში საღმრთო ლიტურგია არ აღესრულებოდა. კომანში ჯარისკაცების მეტი არავინ იყო. ომისგან დაღლილამ ჯარისკაცებმა თანდათანობით დაიწყეს ეკლესიაში სიარული. მამა ანდრიას ქადაგებები მათ დიდად ეხმარებოდა. მეუფე დანიელმა ისინი ქრისტეს წმიდა სისხლს და წმიდა ხორცს აზიარა, რამაც მათი ინტერესი ჭეშმარიტი სარწმუნოებისადმი კიდევ უფრო გაზარდა, ჩვენ ხშირად ვიმყოფებოდით წინა ხაზზე და ვესაუბრებოდით ჯარისკაცებს რწმენაზე და ღვთის სიყვარულზე. მათ ჩვენი მისვლა ამხნევებდათ და დიდად ახარებდათ. ღვთივკურთხეულ ამ მიწაზე ხალხის რწმენა ძალიან სუსტი იყო. მამა ანდრია ღმრთის სიტყვის ქადაგებით ცდილობდა მათ რწმენაში განმტკიცებას.

აფხაზეთის ომის დროს მრევლს ხშირად სასოწარკვეთილება და შიში იპყრობდა, მაგრამ მოძღვრის მოკრძალებული ღიმილი, უწყინარი საუბარი და სიმშვიდე ნუგეშით ავსებდა და ათბობდა ომისგან გატანჯულ ხალხს. თავმდაბალი და მორიდებული, მოკრძალებული და თავაზიანი, მომთმენი და დიდსულოვანი, სულიერად განწმენდილი მოძღვარი არასოდეს

ბრაზდებოდა. ადამიანურ სისუსტეს საოცარი სულგრძელობითა და სიყვარულით მიუტევებდა. რაც გააჩნდა, უსაზღვროდ გასცემდა და როცა გაჭირვებულს ეხმარებოდა, ბავშვივით ხარობდა.

ბერი სიმონი: კომანში მდგომარეობა დღით-დღე უარესდებოდა. საარტილერიო ცეცხლი არ წყდებოდა. იყვნენ დაჭრილები. ერთ-ერთი დაბომბვისას იური ანუას სახლი დაიწვა, ოჯახი ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა. მაგრამ ჩვენ ვერ დავინახეთ ცრემლი მათ თვალებში. გვამშვიდებდნენ – „ყველაფერი ღვთის ნებაა. მთავარი ისაა, რომ ღმერთს არ მივუტოვებთ“.

მამა ანდრიას მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა. მტრის შემოჭრის შემთხვევაში სიკვდილს ღირსეულად შეხვედროდა... მაგრამ მე (მორჩილი გაბრიელი) მუდამ შიშში ვიყავი. როდესაც მამა ანდრია ხედავდა ჩემს ასეთ მდგომარეობას, იტყოდა: „ნუ გეშინია. საშიში ცათა სასუფეველის გარეშე დარჩენაა. მოემზადე. ადამიანი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს“. ამ დროს მე ვმშვიდდებოდი. დარწმუნებული ვიყავი, მტერი კომანს ვერ აიღებდა, რადგან ამ კურთხეული მიწის წმინდანები არ დაუშვებდნენ, რომ მტერს ეს წმიდა ადგილი წაეხილწა... მაგრამ თურმე ვცდებოდი. როგორც ჩანს, ღმერთი ჩვენგან სულ სხვას ითხოვდა. უფალს ჩვენში ჭეშმარიტი რწმენის დანახვა სურდა, რომლისგანაც ჯერ კიდევ ძალიან შორს ვიყავით. ამაში მდგომარეობს მიზეზი ჩვენი მწუხარებისა...

ყოველ წუთს მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. ჩემთვის ის გაუსაძლისი გახდა. თითქოსდა ყველა სროლა ჩემსკენ იყო მომართული. ყოველი აფეთქებული ჭურვი თითქოს ჩემს გულს ეცემოდა... ლოცვას ვეღარ ვახერხებდი. სიმშვიდე დავკარგე. როდესაც მეუფე დანიელმა შეიტყო ჩემი სულიერი მდგომარეობის შესახებ, სოხუმში გადამიყვანა. სადაც შედარებით მშვიდად ვგრძნობდი თავს.

მორჩილი მარიამი:

1993 წლის 5 ივლისია (35 ქართველი მებრძოლი პირისპირ აღმოჩნდა 1500 კაციან კბილებამდე შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ, დნესტრელ გენერალ ლებედის ხელმძღვანელობით. მათთან იყვნენ ჩეჩნები, სომხები, კაზაკები და ათასი სხვა არამზადა. დახმარებას არსაიდან არ მოელოდნენ. არც სოხუმი ეხმარებოდათ. უკან დახევა აუცილებელი იყო. მაგრამ მაიორმა ზაზა პაკელიანმა და ბატალიონის წევრებმა კომანი არ მიატოვეს. სულით არ დაცემულან და სიკვდილს თვალებში ჩახედეს: გუნტერ გულედიანმა, ანზონ სუბელიანმა, ეგნატე კვიციანმა, თამაზ ჩხეტიანმა, ადამ გვიჩიანმა, ვალოდია და მალხაზ კახიანებმა, გოგი და ზაური გვიჩიანებმა, მერი პაკელიანმა, ალექსანდრე გამსახურდიამ, ელგუჯა გვიჩიანმა... საუკუნოდ იყოს ხსენება მათი! ყველასგან განწიურლი კომანი დაეცა). კომანი ჩაიკეტა. მტერმა სოფელი ალყაში მოაქცია. სიკვდილის რეალური საშიშროება ძალიან ახლოს იყო. მამა ანდრიამ ყველას მოგვიწოდა, ქრისტიანული ღირსებით და მორჩილებით მიგველო ღვთის მიერ ჩვენზე დაშვებული ეს ყველაზე მძიმე განსაცდელი.

როდესაც მტერი კომანში შემოვიდა და ჩვენთვის უცნობი ხმები ეკლესიის შორიახლოს გაისმა, ვიგრძენით, თუ რა ახლოს იყო სიკვდილი. ამ გაუსაძლის წუთებშიც კი მამა ანდრიას სახეზე სიმშვიდე აღბეჭდოდა. მისი მშვიდი გამოხედვა გვამშვიდებდა და გვამღვებდა საშუალებას სულიერად უფრო ღრმად ჩავწვდომოდით იმას, რაც ჩვენს გარშემო ხდებოდა. თითქოსდა ჯოჯოხეთის მთელ ძალებს ეკლესიის გარშემო მოეყარათ თავი. უცებ ყვირილის ხმა მოგვესმა. დაჭრილები დახმარებას ითხოვდნენ. მამა ანდრია, დაიყოვნებლივ, ტყვიების წვიმის ქვეშ მათკენ გაეშურა. დახმარებას ითხოვდნენ კომანის ინვალიდთა სახლის მოხუცები. სულ მალე ბრძოლამ პირდაპირ ეკლესიის ეზოში გადაინაცვლა.

ღამის 3 საათია. „ყოველ წუთს უნდა ველოდოთ სიკვდილს. მოვემზადოთ აღსარებისა და ზიარებისათვის“ – თქვა მამა ანდრიამ. ჩავაბარეთ აღსარება. მამა ანდრიამ საკურთხევლიდან გამოიტანა ბარძიმი და უკანასკნელად გვაზიარა ქრისტეს წმიდა სისხლსა და ხორცს.

მონაზონი მარიამი:

დილის ხუთის ნახევარია. ალყაში მოგვაქციეს. ყვიროდნენ, კარები გაგვეღო. მამა ანდრიას კურთხევით ჩემმა მეუღლემ, იურიმ, კარები გააღო. ის ცემით გაიყვანეს. ურტყამდნენ ავტომატის კონდახებს. მას მერე ჩვენ იური აღარ გვინახავს. ის უკვალოდ დაიკარგა.

ცოტა ხნის შემდეგ მამა ანდრიაც გაიყვანეს ტაძრიდან. უთხრეს, რომ ისინი მას მოკლავდნენ. როგორც შემდეგ გავიგეთ, მამა ანდრია მუხლებზე დადგა და ლოცვა დაიწყო. კისერში ესროლეს. იმის ნაცვლად, რომ ის წინ დაცემულიყო, როგორც ეს ჩვეულებრივ ასეთ დროს ხდება, მამა ანდრია ზურგით დაეცა. მან თავი არ მოუდრიკა მკვლელებს. მთელი ოცი წუთის განმავლობაში სისხლი ნაკადულივით მოედინებოდა.

შემდეგ დაიწყო ჩვენი ტანჯვა-წამება. ბრალს გვებდნენ, ვითომ ჩვენ ეკლესიის სახურავიდან ვისროდით. „ბოევიკების“ უმეტესი ნაწილი ნარკოტიკებით იყო გაბრუებული, რაზეც მათი თვალეები მეტყველებდა. ისინი ილანძღებოდნენ, ყვიროდნენ და გვემუქრებოდნენ. შემდეგ დაიწყეს ყველაფრის წაბილწვა, რისიც შეეძლოთ. გადააბრუნეს წმიდა იოანე ოქროპირის სარკოფაგი. ეძებდნენ განძს...

მამა ანდრიას და იურის ტაძრიდან გაყვანიდან რამდენიმე საათის შემდეგ ახალგაზრდა შემოვიდა და თქვა: „მათ თქვენი მოძღვარი მოკლეს“. გაოგნებულები, სასწრაფოდ გავედით ეკლესიის ეზოში. მამა ანდრიას სხეული მიწაზე იდო. მის სახეს ღვთივკურთხეული, ოდნავ შესამჩნევი, ნაზი ღიმილი დასთამაშებდა.

ერთი თვის შემდეგ გადასვენებულ იქნა სოხუმის ძმათა სასაფლაოზე.

ეგნატე კვიციანი



მე-8 ბატალიონის III ასეული

დაიბადა 1933 წლის 30 დეკემბერს მესტიის რ/ნ სოფ. ბეჩოში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. უყვარდა მუსიკა, სპორტი და ნადირობა. ე. კვიციანი 1960 წელს გადავიდა საცხოვრებლად სოფ. კამანში, სადაც შექმნა ოჯახი და ქვეყანას შემატა 5 შვილი.<> 1992 წელს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისთანავე ე. კვიციანი მიუხედავად მისი ასაკისა, თვითონაც ჩაება ამ ომში თავის ოთხ ვაჟიშვილთან ერთად. კამანში მებრძოლი ძალა ცოტა იყო და აქედან გამომდინარე შუახნის მამაკაცებიც იბრძოდნენ ახალგაზრდებთან ერთად. მითუმეტეს ახალგაზრდები ხომ მათი შვილები იყვნენ და ყველა მამას ერჩია თავის შვილებთან ყოფილიყო ბრძოლის ველზე. 1993 წლის 5 ივლისს ეგნატე კვიციანი თავის თანამებრძოლებთან ერთად ბოლომდე იბრძოდა და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ეგნატე კვიციანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“

ანზორ სუბელიანი



მე-8 ბატალიონის III ასეული

დაიბადა 1940 წლის 8 მარტს, მესტიის რ/ნ სოფელ ეცერში. 1949 წელს ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად სოფ. კამანში. ანზორის მამა მშენებელი კაცი იყო და მის შვილებს ცალ-ცალკე სახლები აუშენა. აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებიდან სულ მალე ანზორს მამა დაეღუპა და ამ მძიმე პერიოდში მოუწია მისი დასაფლავება. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისთანავე ანზორ სუბელიანი, როგორც ყველა კამანელი ვალდებული იყო ხელში იარაღი აეღო და დაეცვა მისი ეზო-კარი, სოფელი, ქალაქი თუ ქვეყანა. კამანში თითქმის ყველას ჰქონდა სანადირო იარაღი და ასევე

ანზორსაც მშვენიერი ორლულიანი 16 კალიბრიანი თოფი. პირველ ხანებში ამ სანადირო თოფებისგან შედგებოდა კამანელების შეიარაღება. ანზორ სუბელიანი პირველ საგუშაგოზე მორიგეობდა, იმ დღეს (1993 წლის 5 ივლისი) ქალაქში აპირებდა წასვლას და საგუშაგოდან სულ ახალი წასული იყო, როცა მტერი კამანს დაესხა. ანზორი ამ დროს მისი ძმის სახლში იმყოფებოდა (სოფლის ბოლოდან მეორე სახლი, მდინარის პირას) და ალბათ ქალაქში წასასვლელად ემზადებოდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ანზორ სუბელიანს მარტოს მოუწია იმ ადგილიდან მტერთან შებრძოლება და მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო გასულიყო და ასიოდე მეტრში მდებარე შტაბში მყოფ თანამებრძოლებს შეერთებოდა, ადგილმდებარეობა არ შეუცვლია და სანამ ტყვიანობა იყო, სროლა არ შეუჩერებია. ანზორ სუბელიანი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით "მხედრული მამაცობისათვის"

ავთანდილ ელიზბარის ძე კახიანი



მე-8 ბატალიონის III ასეულის უფროსი მსროლელი

დაიბადა 1940 წლის 24 აგვისტოს. ავთო კახიანი სოხუმში, ძიძარას ქუჩაზე #5-ში ცხოვრობდა. როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, რა თქმა უნდა კამანისაკენ გაემურა. მისი ახალგაზრდობა იქ გაატარა და მისთვის ყველაზე ძვირფასი ხალხი იქ ეგულებოდა. როგორც ქართველთა უმეტესობამ, სულით მეზრძოლმა ადამიანმა, მანაც იარაღი აიღო ხელში და ძმებს გვერდში დაუდგა, რათა დაეცვა მისი მიწა, მისი ქვეყანა და ღირსება. ავთო კამანის #-1 საგუშაგოზე იდგა, სადაც ყოველ მეორე დღე უწევდა მორიგეობა. თუ სიტუაცია დაიძაბებოდა, საგუშაგოებზე ორივე ცვლა დარაჯობდა, თუმცა ორივე ცვლა არ ითვლიდა იმდენს, რასაც თითოები ორივე ხელზე! კამანში იყო მოხუცებულთა და ინვალიდთა პასიონატი, (იმ დროისთვის ცარიელი) სადაც ასეულის შტაბიც იყო, საწყობიც და ყაზარმაც. როდესაც ასეულს შემოაკლდებოდა საბრძოლო მასალა ან საკვები პროდუქტი, საჭირო იყო ბრიგადის შტაბიდან ყოველივეს ამოტანა, რაც გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. კამანიდან სოფელ შრომამდე 4 კმ-იან გზაზე მიმავალი, ისე ჩანს ზემო ეშერიდან, როგორც ხელის გულზე და მტერი არა

მარტო საბრძოლო ტექნიკას ესროდა, არამედ ა/მანქანებს და ფეხით მიმავალ ჯგუფისთვისაც იმეტებდნენ მსხვილ კალიბრიან ჭურვებს. 1993 წლის 8 მაისს შტაბიდან მოსატანი იყო სურსათი. ავთომ გადაწყვიტა თვითონ წასულიყო, -ბინასაც მივაკითხავ, უპატრონოდ მიტოვებული მაქვს, ხომ არ გატეხა ვინმემო. (სამწუხაროდ ასეთი შემთხვევებც ხშირი იყო). გზად, შრომის აღმართებზე მიმავალს, მიუხედავად იმისა, რომ ფრთხილობდა და ჩქარობდა, პირველივე გასროლით დააწია მტერმა „ПТУРС“-ი (ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული სამართავი ჭურვი) და ავთოს ავტომქანა აფეთქდა. კამანიდან ფეხით დადევნებულ თანამებრძოლებს ცეცხლში გახვეული ავტომანქანა ცარიელი დახვდათ. სოფელ შრომის მებრძოლებს გადარჩენის მიზნით, ქალაქისკენ გაუქანებიათ. კამანელების იმედი იმისა, რომ ავთოს ცოცხალს მიუსწრებდნენ, სოხუმის (ბარათაშვილის) N-1 საავადმყოფოში მისვლისთანავე ამოიწურათ!



ზაზა პაპულიანი



მერი პაპულიანი



ალექსანდრე გემსახურაძე



ოტარი ჯაპარიძე



მამია ჯაპარიძე





ნეკეზე კვანჭიანი



უილიამ კვანჭიანი




აღამ კვიციანი



ელგუჯა კვიციანი





გურჩიანი ზურა



გუნტერ გულდასი





2008 წლის 8_11 აგვისტოს რუსეთ _ საქართველოს ომი.
2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის პოლიტიკური ძალების მიერ
ინსპირირებულმა პროვოკაციულმა ქმედებამ საქართველო
შეიარაღებულ კონფლიქტამდე მიიყვანა.
აფხაზეთის 1992_1993 წლების ომისაგან განსხვავებით სამაჩაბლოში
მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა
რამდენიმე დღე გასტანა, რასაც ასობით მებრძოლისა და
მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეეწირა.
რუსეთი თავს დაგვესხა, ბომბები დააყარა ქალაქსა და სოფლებს,
აგვიფეთქა სამხედრო, ეკონომიკური და
საკომუნიკაციო მნიშვნელობის მქონე ობიექტები, დაგვიხოცა
უდანაშაულო ადამიანები, მშვიდობიანი მცხოვრებნი,
თვითმფრინავებითა და ტანკებით ომს მიაყოლა ეკოლოგიური ომი,
ვერტმფრენიდან გამოყრილი აალებადი ჭურვებით
ხანძარი გაუჩინა ჩვენი ულამაზესი საკურორტო მხარის ტყეებს,
ეროვნულ პარკს, ნაკრძალს, გადაწვა და გადაბუგა
ძვირფასი ჯიშის ხეების გადამწვარი მიწა.
აღნიშნულმა კონფლიქტმა კიდევ ერთხელ დაანახა ცივილიზებულ
მსოფლიოს რუსეთის იმპერიის რეალური სახე. სამწუხაროდ,
მცოცავი ანექსიის სახით აგრესიული მეზობლის დამპყრობლური
პოლიტიკა ომის მანქანას საქართველოს წინააღმდეგ
კვლავ ამუშავებს.
ამ ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდნენ ის გმირები, რომლებიც
ჯერ კიდევ პატარა ბიჭები იყვნენ, როცა დევნილებად
იქცნენ. მათ ეს ტკივილი და ნოსტალგია აწუხებდათ. აფხაზეთის
ომში ვერ მიიღეს მონაწილეობა წლოვანების გამო _
მაგრამ 2008 წლის 8_11 აგვისტოს ტრაგედიამ ისინი გმირებად აქცია.
გმირულად დაღუპულთა შორის 12 აფხაზეთის მკვიდრია:
გუდაუთა _ 1; გაგრა _ 3; სოხუმი _ 6; ოჩამჩირე _ 1; გალი _ 1.
მიუხედავად მძიმე რეალობისა, მაინც არ ვკარგავთ იმედს, რომ
ადრე თუ გვიან მრავალ ბრძოლა გამოვლილი
ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა აღადგენს ტერიტორიულ
მთლიანობას და თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ რუქაზე

ღირსეულ ადგილს დაიკავებს.

ომი სამაჩაბლოში

... მათგან თორმეტი დევნილია აფხაზეთიდან ...

როგორც ზღვა, ბორგავს საუკუნე ოცდამეერთე,
ვნმებათაღელვა დაუცხრომლადც ნაპირს აწყდება,
იმპერიული კვლავ მძვინვარებს აზრი მთვლემარე,
დაძრწის საომრად კომუნიზმის გადასარჩენად.

ისევ ომია ... სამაჩაბლოს მოადგა მტერი,
ისევ ბიჭები! ... სამშობლოა გადასარჩენი ...
ოფრიათასრვის ცხელი სუნთქვა, აგვისტო ძნელი,
ჭურვების წვიმა, სისხლი, გმინვა სულისშემძვრელი.

თუ ღვთის შექმნილი კაცისათვის სიკეთე გინდა,
ვერ ესვრი ტყვიას ვერც აზრით და ვერც ქვემეხიდან,
ვინც პატრივს არ სცემს სხვის ღირსებას, უცქერის ლიქნით,
ბნელია გულით, აზროვნებით, საქმით და ფიქრით.

თუ სხვის ოჯახში აფათურებ ხელს ავი ზრახვით,
თავის თავს კარგავ, სხვას ვერაფერს მოიგებ ამით.
და ვისაც სხვისი მონობა და დაჩაგვრა უნდა,
მონაა თვითონ, გადაცუროს არქტიკა თუნდა.

ჩვენი ბიჭები, ჩვენი სუნთქვა, იმედი ხვალის,
დაზრდილი ქვეყნის მომავლისათვის, ლხენად და რწმენად,
გულს ვერ უთმობენ მშობელ დედას მათი ღიმილით,
თავდადებულნი შეეწირნენ სამშობლოს მსხვერპლად.
ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილით,მ
მათგან თორმეტი დევნილია აფხაზეთიდან.

ის, რაც ცხინვალში დატრიალდა, თქმაც კი ძნელია,
ლეიტენენტო, რკინის კაცო, სერგო მელია.
მამაცი იყავ, შემართული სიმართლისათვის.
ასე გაწირე თავი, გმირო, სამშობლოსათვის.

იამაყებენ ჯოჯულები შენით, გიორგი,
გწამდა სიკეთე შენი ქვეყნის, ამაღ გმირობდი,
მამულზე ფიქრი წამოიწყე აფხაზეთიდან,
თავისუფლება და სამშობლო თავსაც გერჩინა.

გმირო სერჟანტო, საქართველო არ დაგივიწყებს
შენს გულისძგერას სამშობლოსთვის და ლამაზ ფიქრებს,
გუდაუთაში ძველი კერა ცრემლის დარია,
მამია, გვარი ასახელე, ფანცულაია.

იქნება მუდამ, დავიწყების დროს ვერ გავატანთ,
იომა გულით და სამშობლოს მუდამ თან ახლავს,
იყო მებრძოლი, იყო ბიჭი სახელიანი,

იყო პაატა სოხუმელი კოპალიანი.

არვინ იფიქროს, დაივიწყებს სამშობლო იმას,
მამულისათვის ვისაც თავი შეუწირია,
მათი საქმენი სამუდამოდ რჩება იმედად,
ადიადდება ჩვენში რწმენად და ჩვენს ღირსებად.

სოხუმელია გოროზია სერგი, ოცი წლის,
ბიჭი მამაცი, ქვეყნისათვის თავდადებული,
არ გაქცევია თავის წმინდა მოვალეობას,
ისიც სამშობლოს ღირსებად და გმირად ქცეულა.

წამოსულია ეშერიდან, მოდის ფიქრებით,
სამაჩაბლომდე მოიტანა დარდი იმ გზების,
მის ღირსებაზე მისი გული და საქმე ამბობს,
ბოკუჩაგების ჯიშთან გვარს თემური ამკობს.

სამაკაშვილი იყო მხოლოდ ოცდაორისა,
იყო ლოდინში ქორწილისა და სიკეთისა,
გმირო მამუკა, შეგიწირა ამ ავმა ომმა,
ნდა იცოცხლოს ხალხის გულში სახელმა შენმა. ~

იყო მამა და მეოჯახე, უყვარდა კერა,
სამშობლო იყო მისი სუნთქვა და ბედისწერა,
იყო მამაცი, უწოდებდნენ ქვეყნის ნამდვილ ძეს,
მოიგონებენ ასე **რომანს, უგრეხელიძეს.**

გაგრელი გმირი ავედიკი, ლომიძე გვარად,
ცხოვრობდა იქვე ლესელიძეს, ფსოუს საზღვართან,
გამოიარა აფხაზეთი, ახსოვდა გაგრა,
სამაჩაბლომდე საქართველოს დარდი ატარა.

გვახსოვდეს მარლენ ბარამია ოცდაოთხი წლის,
ოჩამჩირელი მზეჭაბუკი, ნათელი სიტყვის,
თავისუფლება იყო მისი აზრი და ფიქრი
სამაჩაბლოში ჩაიფერფლა სიცოცხლე მისი.

არ დაივიწყებს საქართველო ზვიად კაცაძეს,
გაიხსენებენ მის საქმეებს და ლამაზ სახელს,

არ დარჩენია შვილები და ცოლი მგლოვარი,
დარჩა სახელი კაცურკაცის მოსაგონარი.

ჭუბურხინჯიდან იყო ბიჭი ბადრი ბერანძე,
იყო ფეხმარდი, გაივლიდა ცხრა მთას ერთ წამში,
სამაჩაბლოში არ დაზოგა სიცოცხლე თვისი,
დარჩა სახელი ჩაუქრობი და მარადისი.



კაპრალი

თემურ ბოკუჩავა

გმირის ორდენი, 2008

1983 _ 2008

მებრძოლი თავის შვილს ეძახდა ალექს, როცა ცოლმა ჰკითხა რატომ ალექი? ის დაპირდა, რომ მას აუხსნიდა ბაპტიზმის პერიოდში. ბაპტიზმის ცერემონია ტარდება 28 აგვისტოს.

8 აგვისტოს ის გმირად დაიღუპა ცხინვალში. ის სოხუმიდან იყო. დაიბადა 1983 წელს სოხუმში. სოხუმიდა ოჯახი სენაკში გადავიდა. მან დაამთავრა სენაკის მე_7 საშუალო სკოლა, რომელიც ეხლა მისი სახელობისაა.

მაია ცეცხლაძე, მეუღლე: ის იყო ძალიან კარგი სტუდენტი. მისი ახალგაზრდობა დევნილობაში გავიდა. მისი ბავშვობა მალე დამთავრდა, მაგრამ მას ოცნება არ შეუწყვეტია.

თემურ ბოკუჩავა გამოიძახეს სამხედრო სამსახურში 2001 წელს, მსახურობდა სენაკში. მონაწილეობა მიიღო კოდორის სპეცოპერაციის დროს, ცხინვალში სამშვიდობო მისიის დროს.

2007 წელს შეხვდა მომავალ მეუღლეს. თავიდან მაიას არ გაუმხილა ჯარისკაცი რომ იყო. მალე შეუყვარდათ ერთმანეთი.

მაია; ~ხშირად მსტუმრობდა ბასთუმში, ხშირად მესაუბრებოდა სიყვარულზე, მახსოვს ჩამოვიდა და მთხოვა გარეთ გავსულიყავი. გვიანი იყო და უარი ვთქვი. მთხოვა სახლთან გავსულიყავი და ვარდების თაიგული გამომერთვია. . . სამ თვეში ჩვენ დავექორწინდით. მისი

პირველი ხელფასით ავეჯი ვიყიდეთ, ის ოჯახზე ზრუნავდა. . . ჩვენ წელიწადი და 2 თვე ვიცხოვრეთ ერთად. გვეყოლა ვაჟიშვილი, ძალიან მოსიყვარულე ქმარი იყო. უნდოდა ალექსი ექიმი გამხდარიყო.

ბოლოს, 6 აგვისტოს მოვიდა სახლში. 8_ში დაიღუპა. მისი ცხედარი 10 დღის შემდეგ იპოვეს. ის გმირულად დაიღუპა.

ცხოვრება ისე ნელა მიდის მის გარეშე. . . მისნაირები იშვიათად არიან. ვიცი, რომ ის აქ არის ჩემს გვერდით და იცავს ვაჟიშვილს. მე შევასრულე დანაპირები _ მე დავიბადე ალექსში.



კაპრალი

სერგეი გოროზია

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი

1988 _ 2008

ის ცხინვალში წასვლის თავის სოხუმში დაბრუნდა. ცხინვალის 9 სოფელი ცხარე ცრემლებით ტიროდა, შეუწყვეტლად. მისი მეგობარი ჯარისკაცები იხსენებდნენ, რომ მათ არავის უნახავთ სერგეიზე მხიარული ცხინვალში იმ საღამოს. არავინ იცოდა, თუ საიდან მოჰქონდა ამ პატარა ბიჭს ამხელა ენერჯია. მისი გული დადუმდა, როგორც მისი იარაღი.

დაიბადა სოხუმში და გაიზარდა გალში. ის შევიდა ქართულ არმიაში და დაიღუპა, როგორც გმირი. მან, მამის საფლავთან, რომელიც სომხებმა მოკლეს იმისათვის, რომ ქართულ არმიაში ჩაეწერა შეჰფიცა, რომ ის დაბრუნდებოდა სოხუმში. მაგრამ შესძლო მხოლოდ ის, რომ გახდა ისტორიული გმირი.

ის მხოლოდ 20 წლის იყო.

სერგეის მშობლებს შვილი 4 წელი არ ჰყოლიათ. სერგეის დედა მზია კვიციანი და მამა კონსტანტინე გოროზია იყვნენ ნახევრად რუსები, სერგეის ორივე ბებია რუსი იყო. ოჯახში რუსულად საუბრობდნენ, მაგრამ როგორც სერგეის დედა ამბობს, უპირველესად იყვნენ ქართველები და უყვარდათ სამშობლო.

ყოველ შემთხვევაში, მათი ოჯახი რუსულად მოლაპარაკე ქართული ოჯახი იყო. ოჯახში მოიპოვებოდა, როგორც ქართული, ასევე რუსული ისტორიის წიგნები.

როცა სერგეი დაიბადა, მისი ბაბუა, რომელიც მეორე მსოფლიო ომში მსახურობდა, როგორც ლეიტენანტი, ცოცხალი აღარ იყო. მაგრამ უამრავი ჯილდო და ორდერი ინახებოდა სახლში. პატარა სერგეი მათ ხშირად იპარავდა, რათა ეთამაშა. დედა იხსენებს, რომ სერგეის ყოველთვის მოსწონდა სამხედრო ნივთები.

სერგეი იყო 2 წლის, როცა მისი და დაიბადა. ეს იყო 90-იან წლები, როცა ქვეყანაში არეულობა დაიწყო. 9 აპრილის შემდეგ მისი მშობლები მიხვდნენ, რომ სოხუმში ცხოვრება მალე დამთავრდებოდა. მათთვის ომი უფრო ადრე დაიწყო, როდესაც საზოგადოებაში გაჩნდა ტერმინი “რუსეთიდან ჩამოსახლებულები”, თუმცა სერგეის მამა ამას ყურს არ უგდებდა და ამბობდა, რომ მას უნდოდა სოხუმში დარჩენა და იქ სიკვდილი.

მან გაიმარჯვა. ოჯახი სოხუმში დარჩა. შემდეგ დაიწყო ომი. სერგეის მშობლები ჩადიოდნენ გალში, ენგურის დასახლებაში, ყოველთვის ცდილობდა გაქცევას.

მზია კვირკველია: “ჩვენც გადავედეთ აგრეთვე, ჩემს მშობლებს სურდათ ჩვენი ზუგდიდში გაგზავნა და თავად კი გალში დარჩენილიყვნენ. ჩემი სურვილით დავიჟინე დარჩენა .ის არ იყო ბავშური გულუპყვრილობა; ეს იყო მოზრდილი ადამიანის გადაწყვეტილება. ჩვენ დავრჩით. ჩვენ ვიყავით ერთად_ერთი ოჯახი საბერიოში, ”ენგურის ხიდიდან 12 კმ. მოშორებით. ჩვენ დავყავით 16 წელი საბერიოში და ამ პერიოდში არსად წაცსულვართ. ჩვენ გადავლახეთ უდიდესი სიძნელები. რადგანაც ჩემი ქმარი არ მსახურობდა ომში, ჩვენ ნება დართული გვქონდა ჩავცულიყავით სოხუმში და ჩავდიოდით. როცა ჩემი დედამთილი დაუძლურდა, მე ვერ ვტოვებდი ჩემ ბრმა დედას, ამიტომაც ჩემი ქმარი წავიდა დედამისის მოსაველეად, როცა დედამთილი გარდაიცვალა, ჩემი ქმარი სახლს ვერ ტოვებდა, ამიტომ დრო და დრო სოხუმში ჩავდიოდით. ჩანდა, თითქოს მას უფრო მეტად მოსწონდა რუსები, ვიდრე ქართველები, მაგრამ სინამდვილეში ის იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგან ემინოდა, რომ მას მოკლავდნენ.

ომის სამი წლის თავზე დედამ 14 წლის სერგეი სოხუმში წაიყვანა, როდესაც ისინი ეზოს მიუახლოვდნენ საშომროება იგრძნეს. დედამ შვილს უთხრა, რომ შესაძლოა მამამისი ცოცხალი აღარ ყოფილიყო.

ეზოში მათ შეხვდათ მეზობელი სომეხი, რომელიც კონსტანტინესთან ერთად გაიზარდა და მთელი სიცოცხლე ერთად გაატარა.

მზია კვირკველია; “მე არ გამკვირვებია მათი ეზოში ნახვა, რადგან ისინი ჩვენი წინა მეზობლები იყვნენ, როდესაც ვკითხე კოსტიკ სადაა_თქო, მათ ცივად მიპასუხეს, “კოსტია მოკვდა”. აღმოჩნდა, რომის 3 თვის წინ გარდაიცვალა. მე ვკითხე, თუ რატომ არ მაცნობეს უფრო ადრე ან მანდ რას აკეთებდნენ. ჩვენ აქ ვცხოვრობთ იყო პასუხი. მათ დაისაკუთრეს სახლი და მანდ ცხოვრობდნენ.

ჩვენი სახლი დაისაკუთრეს ჩვენმა მეზობელმა სომეხებმა, მათ იპოვეს ჩემი ქმარი აივანზე მკვდარი და სისხლში ამოსვრილი. შესაძლოა ის დაეცა და გარდაიცვალა, მაგრამ ნათელია მათ ის მოიკლეს, რათა სახლი მიეთვისებინათ. მათ არ გვაცნობეს ჩვენ და არც სოხუმის პოლიციას. მეზობელი თვითონ იყო პოლიციის მაიორი. მათ ის ჩამარხეს ჩემი შვილი ბლადოდა, ყვიროდა, მე ვკითხე, რატომ გააკეთე ასე, ჩვენი შვილები, ხომ გვერდი-გვერდ იზრდებოდნენ? ამ დროს კი მიპასუხეს “არ დაგავიწყდეს, რომ თქვენ ქართველები ხართ”.

“ბიჭო, შენ არ იცი ვინ იყო მამაშენი ჰგონია მას არავინ მოუკლავს?”

ის არ იბრძოდა, მაგრამ მას ვმუდდით ჩვენ.

მათ მიითვისეს ჩვენი 2 სართულიანი სახლი უზარმაზარი ბაღით და დაგვტოვეს ქუჩაში.

მე ვეცადე საქმის ვითარებაში გავრკვეულიყავი სოხუმის პროზექტურაში. ადამიანები ყველგან არიან. მე არასოდეს დავივიწყებ ამ ადამიანს. ის იყო აფხაზი გულდაუთიდან, მან ბევრი დამეხმარა, რომ სახლი ჩვენ გვეკუთვნოდა, მაგრამ ის არ გვირჩევდა სოხუმში დარჩენას, თუ ახლო ნათესავები აფხაზები არ მყავდა, შესაძლოა მათ მოვეკალით. ის დაგვირდა, რომ იშოვიდა პურის ფულს. ამ კაცმა სამწუხაროდ შეაგროვა 50 რუსი მებრძოლი ამ სომხების ნაცნობები და ჩვენ წავედით.

სომხების მიერ მოკლული მამა, წართმეული სახლი, ეს იყო ჩვეულებრივი ამბავი ყველასათვის. ბიჭი იზრდებოდა და სიცოცხლე თანდათან გაუსაძლისი გახდა მისთვის.

მზია კვირკველია, ერთხელ მან მკითხა: “დედა როდემდე უნდა გავუძლო ასეთ ცხოვრებას? ჩვენ თითქმის ტყვეები ვართ. ის მართალი იყო. რამდენიმე ხანში ის ჯარში გამოიძახეს. ბიჭებს იძახებდნენ ჯარში, მაგრამ ზოგიერთი მშობელი 200 დოლარს იხდიდა, რათა დაეტოვებინათ სახლში. მე იძულებული გავხდი 2_ჯერ გადამეხადა. ის ძალიან გაღიზიანებული იყო, მე ვცდილობდი დამემშვიდებინა ის. მას არ უნდოდა დარჩენა მანდ. მე დავპირდი, რომ სახლს გავყიდდი და დავტოვებდი იქაურობას”, თუმცა ის ამის წინააღმდეგი იყო. მან გადაწყვიტა, რომ ჯარში წასასვლელად ემზადებოდა, ერთხელ მითხრა: “დედა, ვფიქრობ რამდენიმე თვის შუქმდეგ მე შევძლებ გითხრა ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ მე ვერაფერს ვხვდებოდი... და მან მითხრა დედა მე ქართულ არმიაში ვაპირებ ვიმსახურო”.

ამან მე გამაგიჟა.. მისი ბიძაშვილი 21 წლის გარდაიცვალა სოხუმში დაბომბვის დროს, ის მუხლში დაიჭრა. მე ვუთხარი, რომ მისი ამბავი საკმარისი იყო ჩვენთვის. ჩვენ ამაზე ვკამათობდით, მე ვცდილობდი მისთვის სამსახური მენახა ენგურჰესში. მისი ხელფასი იყო ასი ლარი, თუმცა ხელფასის გაზრდას ჰპირდებოდნენ. მან მითხრა მე, რომ თუ უნდოდა, რომ ნამდვილი მამაკაცი ვიყო უნდა გამიშვა. ერთხელ მე ვკითხე მას, რატომ უნდოდა მას ქართულ არმიაში სამსახურში?

მან მიპასუხა: “სააკაშვილს კარგი არმია ყავს, ეს არმია ჩემი ოცნებაა. მე ყველაფერს ვიზამ, რომ გავხდე ოფიცერი. ეს ერთადერთი მიზეზია. თუ ჩვენი არმია აფხაზეთში შევა რა უნდა ვუთხრა ქართველ მებრძოლებს, სად ვიმალებოდი ამდენ ხანს? რა ვუთხრა, რომ აქ ვიჯექი და ველოდებოდი, როდის დადგებოდა მშვიდობა? თუ აფხაზეთს არ დაიბრუნებენ მე შენ საქართველოში წაგიყვან”

მე მას დავეთანხმე. ის მეუბნებოდა თუ აფხაზები თავიანთ არმიაში წამიყვანენ მე გამოვიქცევი, ისინი კი მომკლავდნენ ამისათვის. მან მე დამითანხმა.

ის 19 წლის იყო, როდესაც ქართულ არმიაში ჩაირიცხა. 20 წლის ის არმიაში იყო. ის ბედნიერი იყო მიღწეული პატარა წარმატებებით. მისი მეთაურები ეუბნებოდნენ მას ის იყო ნამდვილი ჯარისკაცი. ის ყველას ეუბნებოდა, რომ აფხაზეთიდან იყო და მისი მთავარი მიზანი აფხაზეთში დაბრუნება იყო.

ის ერაცში წასასვლელად ემზადებოდა და 43_ე ბატალიონიდან 42_ე ბეტა ბატალიონში გადავიდა. მისი გადასვლიდან ერთი თვის შემდეგ დაიწყო, მისი გარდაცვალებამდე 42 დღით ადრე გალში ჩავიდა, მას არდადეგები ჰქონდა ერაცამდე. ომი დაიწყო 7 აგვისტოს. 7 აგვისტოს ის უკანასკნელად ესაუბრა დედამისს. მას დედამისისთვის ყველაფერი არ უთქვამს.

მზია კვირკველია: “მან მე მთხოვა სანთელი ამენთო მისთვის და მელოცა. მე მისი ხმა უკანასკნელად გავიგე იმ დღეს, როდესაც ვესაუბრე მას, ისინი ცხინვალს უახლოვდებოდნენ.

იციტ რატომ ვარ ცოცხალი? იმ საღამოს მან იგემა გამარჯვების გემო.

მისი თანამებრძოლები აღწერენ მის მდგომარეობას, ის იყო აღელვებული, ემოციებისგან დაცლილი.

ბიჭი იყო ცხინვალში, დედა გალში. მან არაფერი იცოდა. ის თავის 18 წლის გოგოსთან ერთად ვაზიანში ჩავიდა 10 აგვისტოს, მაგრამ ვაზიანში არავინ არაფერი იცოდა. დედამ ნახა ბატალიონის მეთაური კიკაბიძე, თუმცა მან არ უთხრა დედას შვილის სიკვდილის შესახებ. მან უთხრა, რომ სერგეი დაიჭრა და ჰოსპიტალშია მას უმძიმდა იმის თქმა, რომ შვილი მოუკვდა. 2 დღის შემდეგ მითხრა მისი გარდაცვალების შესახებ.

დედა ჩავიდა გალში, მას ტკივილი გაუმძაფრდა, როდესაც მისი უბედურება ვერავინ გაიგო. მან შვილი დაკრძალა გალში.



კაპრალი

ბადრი ბერანძე

ვახტანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენი, 2008

1986 _ 2008

ეს ახალგაზრდა ბიჭი არის გალიდან. ის ძალიან ბედნიერი იყო, როცა ცხინვალში წაიყვანეს. 8 აგვისტოს მას დაბადების დღე ჰქონდა 22 გახდა და ... გარდაიცვალა. ის იყო საშინელი წამების მოწმე., ზუსტად მე_5_ედ შევიდა ცხინვალში, გამოიყვანა ის ვინც წამებით მოკლეს..

ის იყო 17 წლის როცა დაქორწინდა. 22 წლის უზრუნველყოფდა თავის თავს. მისი მეგობრები იხსენიებენ, რომ ის იყო უმისარი. ბადრი ბენანძე გარდაიცვალა გალში; მაგრამ მტერმა აიძულა დაეტოვებინა ადგილი სადაც ის დაიბადა . ის ქობულეთში დაიბადა.

ცისო სიგუა; დედა: “ის ზალიან მოსიყვარულე და ჭკვიანი ბავშვი იყო. მთლად ბავშვმა ჩაიცვა სამხედრო ფორმა, სამხედრო კომისარმა მას სთხოვა მშობლის თანხმობა, რადგან ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო. ის არ იყო 18 წლის.

მამა; “ისინი მოვიდნენ და წამიყვანეს მე ... მე ვერაფერს ვერ გავაკეთებდი. კომისარი წინააღმდეგი იყო. მე ვთხოვე მოეცადათ სანამ ბადრი 18 არ გადადებოდა. მას გაგონება არ სურდა. ის ზუგდიდში მსახურობდა, სამხედრო ბატალიონში. მალე მას მოუნდა კონტრაქტისთვის ხელი მოეწერა, , მე ვთხოვე ეს არ გაეკეთებინა, მაგრამ მან არ მისმინა. მე მინდა ჩემს ქვეყანას ვემსახურო, თქვა მან. მან, ასევე, გვითხრა როცა მისი კონტრაქტი დამტავრდებოდა ის გააგრძელებდა მას... ჩვენ ხშირად ჩავდიოდით აფხაზეთში, ვცხოვრობდით გალში. მას მოსწონდა მანდ ყოფნა. ოცნებობდა მშვიდობიანად გვეცხოვრა იქ. მას უნდოდა აფხაზეთისთვის ეომა.

8 აგვისტოს ის 22 წლის გახდა, ისინი ცხინვალიდან იყვნენ. ის ბედნიერი იყო გვითხრა, რომ მალე ყველაფერი კარგად იქნებოდა. საღამოს 11_ზე დაგვირეკა და გვითხრა, რომ ის უკვე ცხინვალში იყო. მე არაფერი მითქვამს. რაღაც უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. მე ტირილი დავიწყე. როცა ზუგდიდი დაიბომბა მე ოჯახი წავიყვანე ქობულეთში. ჩვენ დავურეკეთ ბადრის, მაგრამ პასუხი არ იყო. მერე იყო გაუთავებელი ძებნა. ბადრი მეგობრებმა დამირეკეს მუხროვანიდან და მითხრეს, რომ მათ წაიკითხეს რუსი ჯურნალისტის სტატია, სანქტ_პეტერბურგიდან, სადაც წერდნენ, რომ იპოვეს ბადრის პირადი ნომერი. 12 თებერვალს სისხლის ანალიზის საფუძველე გვაცნობეს, რომ ბადრი გარდაიცვალა. ის დაკრძალულია მუხათგვერდზე. მე ვთხოვე მათ გაეხსნათ კუბო, დიახ , ის იყო ჩემი ბიჭი. იმავე დღეს ჩვენ გადავასვენეთ მისი გვამი ზუგდიდში. დედა: “ბადრის ვაჟი საბა 6 წლისაა ახლა. ის ხშირად საუბრობს მამამისზე.” ბადრი ოცნებობდა აფხაზეთში დაბრუნებაზე და მანდ ცხოვრებაზე. მას სურდა ბევრი ბავშვის ყოლა. ის 17_ის დაქორწინდა, ჩვენ მას სამი დღე ვეძებდით. მანLლინდა წაიყვანა და ვერ ვიპოვეთ. ის თვითონვე დაგვიკავშირდა. ამბობენ დრო მკურნალიაო... ეს არ არის სიმართლე... რაც უფრო გადის დრო მეტად ძნელი ხდება მის გარეშე ცხოვრება.



კაპიტანი

გიორგი ჯოჯუა

გორგასლის 1 ხარისხის ორდენი 2008

1980 _ 2008

ის იყო 12 წლის, როცა დატოვა სოხუმი. 28 წლისას დადგა მისი ცხოვრების დასასრული.

მთელი ახალგაზრდობა დევნილობაში გაატარა. სენაკში ცხოვრობდა. სკოლის შემდეგ ჩაირიცხა სენაკის სამხედრო აკადემიაში.

22 წლის შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს. აფხაზეთში დაბრუნებაზე ოცნებობდა. ოცნებობდა ბავშვებზე და მათ სამხედრო კარიერაზე. ძალიან ახალგაზრდამ თქვა, რომ ის სამხედრო პირი გახდებოდა, როცა გაიზრდებოდა, _ იხსენებს მეუღლე.

გიორგის მამა არ მიესალმა შვილის ამ გადაწყვეტილებას, რადგან თავადაც იბრძოდა აფხაზეთში.

კაპიტანი გიორგი ჯოჯუა იბრძოდა მეოთხე ბატალიონში. ის სექტემბერში ერაყში აპირებდა გამგზავრებას. ერაყის შემდეგ მას სურდა სამხედრო სამსახურის გაგრძელება.

გიორგი ჯოჯუამ 4 აგვისტოს დატოვა სახლი, მან არ უთხრა ოჯახს, რომ ომში მიდიოდა. მან გვითხრა, რომ გორში იმყოფებოდა, ის კი ამ დროს ცხინვალში იბრძოდა.

ჩვენ არ ვიცით როგორ გარდაიცვალა ის 17 ბიჭი ჩამოვიდა ნოემბერში, ცხოვრება უმძიმესია მის გარეშე, მან დატოვა ორი ვაჟიშვილი. მე ისინი გავზარდე, ვცდილობ მამა ახსოვდეთ მუდამ.



პაატა კოპალიანი

უმცროსი სერჟანტი

გმირის ორდენოსანი, 2008

1978 _ 2008

ის ცხელი ხაზისკენ მიდიოდა, როცა დაეხმარა დაჭრილ ჯარისკაცს, რომელიც ავიაციამ ტანკი დაბომბა. პაატამ მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა მოასწრო ~ლევანი~.

ლევანი მისი ვაჟია. ის გმირის შვილია.

ის დაიბადა სოხუმში 1978 წელს. ის იყო 12 წლის, როცა გაიარა ჭუბერის გზა და გადაარჩინა სოცოცხლე თავისი და ოჯახის. ამ რთულმა გზამ დედამისის ჯამრთელობა შეარყია, რომელსაც 3 შვილი ჰყავდა.

მზია ჭილაია: როდესაც ისინი ჩამოვიდნენ, დასახლდნენ მარტვილში, სოფელ სერგიეთში. ძალიან ჭკვიანი მოსწავლე იყო. თავიდან მე ვიგრძენი, რომ მას შევეყვარდი. ჩვენ დავქორწინდით 1999 წელს. მალე ბავშვიც გვეყოლა. როცა მამა გახდა, ის იყო უბედნიერესი. ის ხშირად უყვებოდა შვილს აფხაზეთზე. 9 წელი ვიცხოვრეთ ერთად. სანამ ვიქორწინებდით, მან სახედრო ვალდებულება მოიხადა, 2 წელი გომბორში იმსახურა. ამის შემდეგ ჩაირიცხა სამართლის ფაკულტეტზე, სოხუმის უნივერსიტეტში, მაგრამ მას არ სურდა მუშაობა ამ სფეროში. მას უნდოდა ჯარში ემსახურა და დაეცვა სამშობლო. თავიდან სენაკში, მე_2 ბატალიონში მსახურობდა. შემდეგ იყო ერაყში 6 თვეში 2_ჯერ.

11 აგვისტოს დღის ბოლოს მე მასთან ვილაპარაკე ტელეფონით. მან მითხრა, ჩვენ დაგხვდებით ზღვასთან, ჩვენ უნდა დავისვენოთ, ტელეფონს ვთიშავ და ხვალ დაგირეკავ. მან მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა ~ლევანი~ და გარდაიცვალა.

მან მე დამირეკა, როცა მე უპასუხე, რომ მისი არ მესმოდა, ვიგრძენი, რომ თავს ცუდად გრძნობდა და ვერ მესაუბრებოდა.

მე მის შესახებ 12 აგვისტოს შევიტყვე. არ მითხრეს, რომ მკვდარი იყო, როცა გორში ჩავედი გზაზე მე ვნახე ის ადგილი და ამ ტრანსპორტში მე ვნახე პაატას მობილური, მივხვდი, რომ ის ცოცხალი არ იყო.



უმცროსი სერჟანტი

მამია ფანცულაია

ორდენი სამხედრო მამაცობისთვის, 2008

1979_2008

როდესაც რუსეთი უტევდა საქართველოს და ის გამოიძახეს სამხედრო სამსახურში, ის ელოდა თავისი ნანატრი შვილის დაბადებას. ის უკანასკნელად 9 აგვისტოს ესაუბრა მეუღლეს. სთხოვა, რომ მხოლოდ შვილზე ეფიქრა.

ნახევარ საათში მას რუსის ტყვია მოხვდა გულში.

მამია ფანცულაია გმირულად გარდაიცვალა 9 აგვისტოს ხეთაგუროვში.

მამია დაიბადა 1979 წელს აფხაზეთის, გუდაუთის სოფ. აბგარხუკში. ის მესამე შვილი და ერთადერთი ვაჟი იყო ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ მან ჩააბარა აგრო_სუბტროპიკულ ინსტიტუტში. შემდეგ მსახურობდა ქუთაისის სამხედრო სამსახურში და დარჩა არმიაში. იყო ტყიბულში განლაგებული. მარტის თვის შემდეგ 2005 წელს მან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მსახურობდა სენაკში მე_2 ბრიგადაში. 22_ე ბატალიონში და იყო ასმეთაური. კონტრაქტის ხელმოწერამდე შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს მაია ცინცაძეს. ისინი ხვდებოდნენ 2 წელიწადი.

მაია ცინცაძე: ერთი წელიწადი ის ერაცში მსახურობდა. დაბრუნების შემდეგ 2006 წელს ჩვენ დავექორწინდით მალულად. ის ძალიან თბილი პიროვნება იყო. შვილი წელიწადი არ გვყოლია და ძალიან ბედნიერები ვიყავით, როდესაც დავფეხმძიმდით. აგვისტოში, როდესაც ის წაიყვანეს მე

ყოველ დღე ველოდი შვილს. ის გოგოზე ოცნებობდა და სახელიც შეურჩია. ჩვენს შვილს ანა დავარქვით. 5 აგვისტოს ის სახლში მოვიდა, ეს საიდუმლო იყო. დედაჩემი ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა, მინდოდა მასთან წავსულიყავი, მაგრამ მან ნება არ დამთო. მთხოვა სახლში დავრჩენილიყავი. მთელი დღე მოწყენილი იყო. ის გრძნობდა საშიშროებას. მან უთხრა მეგობრებს, რომ ცხინვალში აგზავნიდნენ, და გრძნობდა, რომ ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა. მას უნდოდა ენახულეხინა ბიძაშვილი, რომელიც იმავე დღეს დაიღუპა როცა მოკლეს მამია.

მამია მოიყვანეს 2 ჯარისკაცთან ერთად ხეთაგუროვოში. ერთი ჯარისკაცი გარდაცვლილი იყო, მეორე დაჭრილი, დაჭრილმა ჯარისკაცმა გაიხსენა მომხდარი.

ოჯახს მომდევნო დღეს აცნობეს მამიას გარდაცვალების შესახებ. მისი მეუღლე ანა საავადმყოფოში იყო ჯერ კიდევ, მას საკეისრო გაუკეთდა.

მაიამ ეს ამბავი ერთი კვირის შემდეგ გაიგო როცა, მან დატოვა საავადმყოფო. ოჯახმა ვერ შეძლო ცხედრის ნახვა, 3 _ 4 დღის შემდეგ მიაგნეს გორის ჰოსპიტალში. ის დაკრძალეს კოპიტნარში.

პატარა ანა თავის გმირ მამას, მხოლოდ სურათებიდან იცნობს.

ცოლი: “ის მუდამ ესაუბრება მამას სურათებიდან, ამბობს რომ მამამ მას ბუმტები უნდა მოუტანოს. ძალიან მძიმეა მის გარეშე ცხოვრება, მე იშვიათად ვნახულობ მასზე სიზმრებს. ის ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც სიცოცხლეში.”



კაპრალი. მარლენ ბარამია, გმირის ორდენის კავალერი. 1984 _ 2008

აფხაზეთი მისთვის იყო მიუშუშებელი ტკივილი. ის ხშირად იხსენებდა იმ წლებს, რომელიც მან გაატარა აფხაზეთში. მას ენატრებოდა ის ცა, ზღვა და მიწა, სადაც დაიბადა და რომელიც მას წაართვეს. აფხაზეთში დაბრუნება იყო მისი სანუკვარი ოცნება - ოცნება რომელიც ვერ ახდა. 11 აგვისტოს შინდისის ბრძოლაში, კიდევ ერთი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე.

მეუღლე, სალომე სანაძე იხსენებს: “მისი სამხედრო დანაყოფი სატვირთო მატარებლით გაიყვანეს 8 აგვისტოს, 11 საათზე. მან დამირეკა და მითხრა, რომ ტოვებდნენ სენაკის სამხედრო ბაზას და მთხოვა მომეყვანა შვილი დასამშვიდობებლად. როგორც ჩანს ის

გრძნობდა რომ უკანასკნელად გვხედავდა ჩვენ; თვალცრემლიანი, ღიმილით ჩაეხუტა შვილს და დაგვემშვიდობა.

10 აგვისტოს, მან დამირეკა და მითხრა –“მე კარგად ვარ და ჩემზე ნუ ლელავთ”. 11 აგვისტოს, 4 საათზე მან უკანასკნელად დამირეკა: - “ბრძანება მოვიდა, ჩვენ გავდივართ და მალე სახლში ვიქნებით”. 11 აგვისტოს მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთი დადგა, ის ისე ლამაზად და ვაჟკაცურად დაილუპა, როგორც ლამაზად და ვაჟკაცურად იცხოვრა.

მისი გადმოცემით ვიცი, რომ ბრძოლა შინდისში 11 აგვისტოს 4-დან 5 საათამდე მიმდინარეობდა. მეორე ბრიგადა ბაზაში ბრუნდებოდა, როდესაც რუსებმა მათ ტანკებს ღია ცეცხლი გაუხსნეს და გაანადგურეს. 17 აგვისტოს მისი ცხედარი სამტრედიის ჩამოასვენეს, რომელიც დაგვრალეთ 20 აგვისტოს. პრეზიდენტის ბრძანებით ის დააჯილდოვეს სამხედრო მამაცობისათვის გმირის ორდენით სიკვდილის შემდეგ. მარლენმა დამიწერა და გამომიგზავნა ლექსი, რომელიც სიკვდილამდე 2 თვით ადრე დაწერა.

ლექსი.....

მისი სიყვარული ექსტრაორდინალური იყო. მას უნდოდა ყველასთვის გაეღო თავისი გულის კარი და ენახებინა როგორი თბილი იყო ის. ის იყო თავაზიანი და თბილი მეუღლე. ჩვენ დავექორწინდით 2004 წელს. 2005-ში ჩვენი გოგო თეკლა დაიბადა და ის მას პრონცესას ეძახდა. მე არ შემიძლია გადმოგვით თუ როგორ უყვარდა მას შვილი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ის დაღლილი მოდიოდა სახლში, გვსვამდა მანქანაში და გვასეირნებდა. მას უდიდესი სიყვარული გააჩნდა ჩვენი ერთადერთი, ცისფერთვალე ჭალიშვილის თეკლას მიმართ. დღეს მას ვიხსენებთ მოგონებებში და წერილებით რომლებიც მარლენმა დაუწერა თქლიშვის დაბადების დღეზე 2008 წლის 15 მარტს ზემო ნაფხაზეთიდან, სადაც ის იმყოფებოდა როგორც მშვიდობისმყოფელი. “მე შენ მიყვარხარ ჩემო ძვირფასო და მინდა რომ სულ ასე გაგრძელდეს. არავინ იცის როდის გვეწვევა სიკვდილი და თუ მე მოვკვდები და დაგტოვებ შენ გთხოვ ერთს, მოდი ჩემს საფლავზე და აკოცე ჩემს სურათს. მე ვიგრძნობ, რომ ის შენ ხარ! ჩემი სიცოცხლე... და მე მოვალ შენთან, როგორც ლამაზი სიზმარი, გაკოცებ და დაგლოცავ”.

მარლენ ბარამია დაიბადა 1984 წლის 12 ნოემბერს, ოჩამჩირის რაიონში. აფხაზეთის ომმა წაართვა მას ბავშვობა და გახადა დევნილი. “აფხაზეთი გახდა მისი მოუშუშებელი ტკივილი”, - ამბობს მისი ცოლი და იხსენებს: “ის იყო ძლიერი და წარმატებული სპორტის მრავალ სახეობაში. ის ყველას ეხმარებოდა, იმათაც კი, რომლებიც მისგან ამას არ ელოდებოდნენ. სამხედრო სამსახურში წასვლის მიზეზად ის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულსა და აფხაზეთში დაბრუნების იმედს ასახელებდა. 2007 წლის მარტში კარანტინი გაიარა ქუთაისის მე-3 საარტილერიო ბრიგადაში, მაგრამ რადგანაც არ ჰქონდა გავლილი სავალდებულო სამხედრო სამსახური, საკონტრაქტო ხელშეკრულებაზე უარი განუცხადეს. იმავე წელს ნოემბერის თვეში მან მეორეჯერ გაიარა სრული კარანტინი

სენეკის მე-2 საარტილერიო ბრიგადაში, სადაც ის დანიშნეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საარტილერიო დივიზიის ბრიგადაში. მან მოასწრო ემსახურა, 2007 წლის 1 დეკემბრიდან, 8 თვის განმავლობაში, მაგრამ ამ მოკლე პერიოდში მან შეძლო დაეტოვებინა გმირის სახელი, რომლითაც ჩვენ ყველა ვიამაყებით!



კაპრალი

რომან უგრეხელიძე

ვაჟბატანგ გორგასლის 1 ხარისხის ორდენი, 2008

1963 _ 2008

9 აგვისტოს, საბრძოლო შეტაკებისას ტანკი, რომელსაც ის მართავდა ნაწილებად დაიშალა. მისი 2 მეგობარი გადარჩა. ის უკანასკნელი იყო ვინც ჩარჩა ტანკში.

რომან უგრეხელიძე დაიბადა 1963 წელს სოხუმის მახლობლად, სოფ. ლინდავაში.

ის მესამე შვილი იყო _ ძალიან საყვარელი და კარგად აღზრდილი. სკოლის შემდეგ გაემგზავრა არმიაში 3 წლით ვლადივოსტოკში. როცა დაბრუნდა ცოლი შეირთო. მალევე დაიწყო სოხუმის პორტში მუშაობა. მას 3 შვილი ეყოლა.

ნანი ცქიტიჩვილი: ~პირველი ბიჭი უნდოდა, შემდეგ როცა გოგო ეყოლა, ძალიან უხაროდა. მეორეც გოგო და მესამე ბიჭი გვეყოლა.

მისთვის აგვისტოს ომი მეორე ომი იყო. ის აფხაზეთშიაც იბრძოდა. შემდეგ დატოვა აფხაზეთი და ცხოვრობდა ოჯახთან ერთად კოპიტნარში.

მან კონტრაქტი გააფორმა 2003 წელს და მსახურობდა ვაზიანში, როგორც ტანკისტი.

ნანი ცქიტიშვილი: ~2 კვირით ადრე სიკვდილამდე დილით ადრე ჩამოვიდა სოფელში. ის ძალიან მოწყენილი იყო, ცოტას საუბრობდა. მას არ სურდა ჩვენთან საუბარი. ბოლოს, ივლისის ბოლოს ვნახეთ. მან 7 აგვისტოს დაგვირეკა. ის უკვე ცხინვალში იყო. 9 აგვისტოს მან უკანასკნელად დამირეკა, ცოტას საუბრობდა. . . მან ნათიას უთხრა, თავის შვილს, ~შენ ჩემი უფროსი შვილი ხარ, იცი თუ როგორ მიყვარხარ. . . მას შემდეგ არ დაურეკავს.

ის 9 აგვისტოს დაიღუპა შუადღეს. ჩვენ შევიტყვეთ მეორე დღეს. ძნელია მის გარეშე ცხოვრება. ის ხშირად მოდის სიზმრად. უბრალოდ მოდის, არაფერს მეუბნება და ისევ ქრება.



კაპრალი

ზვიად კასტაძე

თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირის წოდება.

1980 _ 2008

11 აგვისტოს სინდისთან ბრზოლაში, როცა ეხმარებოდა დაჭრილ მეგობარს, მტრის ტყვიამ განგმირა ის, მან უთხრა მის მეგობარს “მე ვიცი, ვერ გადავრჩები ამ უკანასკნელ ბრძოლაში, გადაეცით ჩემებს, რომ ყველა ზალიან მიყვარს”. მისი უკანასკნელი მესიჯი მის ცოლს გაუგზავნა – “მიყვარხარ, ძალიან, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვერასდროს გნახავ”.

იამზე კაცაძე და: “ზვიადის ყოველთვის უყვარდა ტავისი სამშობლო, ეს სიყვარული უფრო გაძლიერდა მისი ჯარის მსახურობის დროს. შესაძლოა ეს იყო მიზეზი მისი კომანდოში მსახურობისა. მას ომის გამოცდილება ბალშვობაში ქონდა. მისი პირადი მისია იყო დაეცვა ქვეყანა, მას უყვარდა საქართველო, ის ამბობდა: თუ რამეს მოუძღვნიდა თავს ეს იყო საქართველო, თუარადა ის არ იქნებოდა ქართველი”. 2006 წელს მან ხელი მოაწერა 4 წლიან კონტრაქტს. ის მსახურობდა ეწერის მე-2 ბრიგადასი.

უკანასკნელად 11 აგვისტოს ვესაუბრე მას, როცა ის იყო შინდისში, სადაც გარდაიცვალა. სანამ მას მოკლავდნენ ის ეხმარებოდა თავის დაჭრილ მეგობრებს. ის ფეხში დაიჭრა, მან უთხრა თავის მეგობარს, რომ იმდენი სისხლი დაკარგა, რომ მისი შველა შეუძლებელი იყო. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვი.

მღვდელმა ჩამოასვენა მისი ცხედარი თბილისში. მან მობილურში ჩარიცხა 3 ლარი, საიდანაც მხოლოდ მესიჯი გააგზავნა თავის ცოლთან. ან მისწერა თავის ცოლს შუა ბრძოლაში და უკანასკნელად მიიღო მისმა ცოლმა ქმრის მესიჯი.

ასე გმირულად დატოვა ეს სამყარო 28 წლის ბიჭმა, რომელსაც უზომოდ თბილიგული ჰქონდა. რომლის ახალგაზრდობამ მის სახსოვრად მისი სახელი ჩაწერეს მემორიალურ დაფაზე, რომელიც მდებარეობს სოფლის ცენტრში. ის აგრეთვე დაჯილდოვდა თავისუფლებისთვის მებრძოლის ორდენით.

ზვიად კაცაძე დაიბადა სოხუმის ახლოს მდებარე სოფელ ეშერაში 1980 წლის 25 იანვარს. ზვიადის 5 7777777 ჰქონდა. მას სურდა დაეცვა სამშობლო, ის სწორედ ამ იდეას შეეწირა.

იამზე კაცაძე: “ჩვენ ბევრი ტანჯვა გამოვიარეთ აფხაზეთის ომის დროს, როდესაც ზვიადი 12 წლის იყო, ვიმალებოდით ტყეში რამოდენიმე კვირა სასწაულებრივად გადავრჩით. დევნილობისას ჩვენ ჩავედით ფოთში გემით, ჩვენს ნათესავებთან ურეკსი მივედით. მოგვიანებით ჩვენ ავასენეთ პატარა სახლი. დავდიოდით სკოლაში, ზვიადიმ ახალი მეგობრები გაიჩინა. ყველას უყვარდა ის. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახურში ჩაირიცხა.

მას უყვარდა ხატვა. თავისუფალ დროს ის მუდამ ხატავდა. ის ასევე აკეთებდა ხატებს. ის იყო რელიგიური და ყველა ჩვენგანი ძალიან უყვარდა, მაგრამ დედა განსაკუთრებულად. მას ზალიან ენატრებოდა ტავისი ძმა, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა და გრძნობდა, რომ მას ვერ ნახავდა.

როდესაც ომი დაიწყო ჩვენ ზალიან შევშინდით. მახსოვს 11 აგვისტოს დილა. მე დავუკავშირდი მას შეტაკების სემდეგ. არ მომეწონა მისი ხმა, უცნაური მეჩვენა, ის ზალიან იყო შეცვლილი. მას მოწყენილი ხმა ჰქონდა. მე ვკითხე, რა ხდება ზვიადი, კარგად ხარ საჭმელი თუ გაქვთ? _ კი, ჩვენ კარგათ ვართ, ჩვენ ახალ წვრთნებს გავდივართ. მე ვიცოდი, რომ ის მატყუებდა, მან თავისი ნებით გამორთო ტელეფონი. მივხვდი, რომ მას არ ეცალა. მე არ მიცდია მისთვის ისევ დამერეკა. მოგვიანებით მეზობელი ბიჭები მოვიდნენ და გვაცნეს, რომ ის დაიჭრა, დედამ იგრძნო სხვა რამე რომ ხდებოდა. 14 აგვისტოს ის მის მოსამებნად წავიდა, სანამ მოძებნიდა, ადგილობრივმა მთავრობამ გაეცნობა მისი გარდაცვალების შესახებ. ჩვენ დედას დავურეკეთ და მოვატყუეთ, თითქოს ზვიადი დაბრუნდა დაჭრილი. დედა მიხვდა ყველაფერს. 19 აგვისტოს დავკრძალებით ქრისტიანული წესით, დედამ თქვა, რომ მე ამაყი ვარ, რომ ჩემი შვილი სამშობლოსთვის გარდაიცვალა.

უფროსი ლეიტენენტი



სერგო მელია

სერგო თამაზის ძე მელია დაიბადა 1978 წელს ქ. სოხუმში, 1984 წლიდან _ 1992 წლამდე წარჩინებით სწავლობდა ქ. გაგრის, სოფ. ალახაძის მე_3 საშუალო სკოლაში, 1992 წელს აფხაზეთში დაწყებული ომის დროს, მისი ოჯახი აღმოჩნდა სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, 1992 წლის 27 სექტემბერს სერგოს ოჯახი ბიძამ გამოიხსნა ტყვეობიდან და გააგზავნა აბაშაში, მამა_პაპისეულ სახლში.

1993 წ. დაამთავრა აბაშის რაიონის სოფ. წყემის არასრული საშუალო სკოლა, სწავლა განაგრძო სოფ. გეჯეთის საშუალო სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1995 წ.

1995 წ. ჩაირიცხა საქართველოს თავდაცვის აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1999 წელს, სამივე სახელმწიფო თეორიულ გამოცდაზე მიიღო უმაღლესი შეფასება. აკადემიაში სწავლის პერიოდში რამოდენიმეჯერ გამოთქვა აფხაზეთში პარტიზნად წასვლის სურვილი, მაგრამ ოჯახის ჩარევის შედეგად სურვილის ახდენა ვერ მოახერხა.

1999 წლიდან მსახურობდა სენაკის სამხედრო ნაწილში, იმ პერიოდში საქართველოში და განსაკუთრებით ჯარში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა სამხედრო სამსახური (2003 წელს), ძალიან განიცდიდა იმას, რომ სათანადოდ ვერ პატრონობდა მის დაქვემდებარებაში მყოფ ჯარისკაცებს. მისი სიტყვებით, "ვერ მოსთხოვ ჯარისკაცს შეასრულოს მოვალეობა, დაიცვას სახელმწიფო, როცა მას ფეხზე აცვია ჩუსტი და ჭამს მხოლოდ პურს". მან დაკარგა აფხაზეთში დაბრუნების იმედი, რამაც საბოლოოდ მოუკლა გული. ამას ემატებოდა ოჯახის ეკონომიური სიდუხჭირე, რის გამოც იძულებული გახდა მოსკოვში წასულიყო სამუშაოდ (2003 წ.).

2005 წ. სერგო დაბრუნდა საქართველოში და სამხედრო სამსახურში აღიდგინა თავი.

2006 წელს წარმატებით დაამთავრა მეზენიტე_მსროლელთა სასწავლო კურსი, მიენიჭა მეზენიტე სპეციალისტის კვალიფიკაცია. თავდაპირველად მსახურობდა ბათუმში, შემდეგ გადავიდა მუხროვანში, ბოლოს კი დაინიშნა ვაზიანის მე_4 ქვეითი ბრიგადის 42_ე ბატალიონის II ქვეითი ასეულის მეთაურად, რომლის დაარსებაშიც მიუძღვის წვლილი.

მან კარგ შედეგებს მიაღწია. მან თავის დას უთხრა: ~ჩემი ბიჭები ლომებს ჰგავან~_ო.

ნანა მელია: ~როცა ის გახდა კომანდოს ბატალიონის მეთაური ჩვენ მას სალაპარაკოდაც ვერ ვნახულობდით. მე მას ვუთხარი, რომ ის იყო ოფიცერი და მას შეეძლო სახლში ხშირად მოსულიყო, როგორც ამას სხვები შვრებოდნენ. ~მე რა ვქნა, თუ რომელიმე ბიჭს რამე მოუვა? როგორ ჩავხედო მათ დედებს თვალეებში. მე მაშინ თავი უნდა მოვიკლა~. ასე მპასუხობდა ის. ის ბიძასავით უვლიდა ბიჭებს. ფაქტიურად სახლში არ მოდიოდა, ერთხელაც ვუთხარი ცოლი უნდა მოიყვანო_თქო, მაგრამ მიპასუხა, როგორ მოვიყვანო, როცა ფაქტიურად სახლში არ ვარ, თუ ისიც სამხედრო ბაზაში წავიყვანო?

ორი თვით ადრე, სანამ მისი გმირი პიროვნება გარდაიცვლებოდა მან უკანასკნელად გადაიხადა თავისი 30 წლის იუბილე. 2008 წლის 4 აგვისტოს ბაბუა გარდაიცვალა და ის ჩავიდა აბაშაში. 7 აგვისტოს ჯარში გამოიძახეს. ის წავიდა თბილისში, რათა აელო ფორმა. ბიძაშვილმა ჰკითხა: ~თუ დაესწრებოდა ბაბუას დაკრძალვას, სერგომ მას თავისი პასპორტი მისცა და უთხრა: ~მე ვიქნები აქ, თუ ცოცხალი დავრჩები~.

7 აგვისტოს, ღამის 12 საათზე მე_4 ბრიგადა შევიდა ოსეთში ხეთაგუროვოს მხრიდან, 8_ში დილით ისინი უკვე ცხინვალში იყვნენ. სერგო ომის მსვლელობისას გადაყვანილ იქნა შტაბში, მაგრამ მის ასეულს მე_4 ბრიგადიდან, პირველს მოუწია შესვლა ცხინვალში და სერგო მათ შეუერთდა, შტაბში არ გაჩერდა...

ის არ პასუხობდა თავისი დას და დედას ზარებს, მაგრამ როგორც კი დროს გამონახავდა ურეკავდა მათ. არ უნდოდა მათ ენერვიულათ. 7_ში დედას დაურეკა და უთხრა, რომ ის გორში იყო, არ ენერვიულა, დაეძინა და მეც დამასვენეო. ნუ გეშინია_უთხრა მან. 8_ში დილით დას ელაპარაკა და უთხრა, რომ ეს_ესა რომ გაიღვიძა, ჰკითხა ტელევიზორით რას გადმოსცემსო და მათ დაწვრილებით მოუყვა, რადგან ფიქრობდა სერგომ კარგად არ იცოდა რა ხდებოდა, თუმცა სერგომ ყველაფერი ყველაზე კარგად იცოდა.

8 აგვისტოს, ქართული სამხედრო ძალების უკან დახვევისას, მეოთხე ბრიგადის 42_ე ბატალიონის მეორე ქვეითი ასეულის მეთაური სერგო მელია შტაბს მიამაგრეს, მისი ასეული კი ოფიცერ ნატროშვილს ჩააბარეს. გაგრეს ბიჭს შტაბში რა დააყენებდა და მეგობართან, სოხუმელ მურად ტორჩინავასთან ერთად გაჰყოლია თავის "ბრაოს" ასეულს. ბრძოლის დროს ასეულის ერთი ნაწილი ავტოგასამართი სადგურის ახლოს მოხვდა. მტერმა ცეცხლი გახსნა და საწვავით სავსე ავზები აფეთქდა. ნატროშვილი ცოცხლად დაიწვა. წინ წასული სერგო მობრუნდა და დაუფიქრებლად გაექანა დაჭრილების გადასარჩენად.

"ერთი რომ ამოიყვანა, ჟილეტი გაიხადა, ხელს მიშლისო. მეორეც ამოიყვანა (ორივე დაჭრილი გადარჩა). ამასობაში მანქანაც მოვიდა მათ გადასაყვანად. სანამ მედდები დაჭრილებს მიხედავდნენ, დაღლილი ბიჭები მიწაზე ჩამოსხდნენ სულის მოსათქმელად. უცებ ავიაციის მიერ მასობრივი დაბომბვა დაიწყო და მათ უკან ბომბი აფეთქდა. მურად ტორჩინავა 7 მეტრზე გაისროლა.

ფეხში დაიჭრა, მაგრამ მოძრაობა შეეძლო. ზვიად მემანიშვილს ჩაფხუტი გახეთქოდა და ტვინი გადმოსდიოდა (გადარჩა, კვლავ ჯარშია), სერგოს მიწა ეყარა, მურადმა გადაფერთხა, თვალები და პირი დარჩენოდა ოდნავ ღია. თვალები რომ დაუხუჭა, სველი ჰქონდა, ეტყობა, სიმწრისა და აუსრულებელი ოცნების ბოლო ცრემლი გადმოუგორდა", _ იხსენებენ მეგობრები. ცხინვალში შესვლისას რუსულენოვანი ტრაფარეტი რომ წაუქცევიათ, სერგოს უთქვამს, ასე შევალთ გაგრაშიცო. არ დაგავიწყდეს, სერგო, გაგრამდე სოხუმიაო, შეუხსენებია ღიმილით მურად ტორჩინავას. მას სჯერა, რომ სერგოს ოცნება ასრულდება...

8 აგვისტოს ცხინვალში, ე. წ. "დუბოვია რომჩაში" მანქანა დაჭრილებით დატვირთეს. სერგო დატოვეს, რადგან სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ფეხში დაჭრილმა ტორჩინავამ ვერ გაიმეტა მეგობარი და ტყიდან ტრასამდე ზურგით ატარა. მერე მანქანაც ნახეს. სერგო ძარაზე აიყვანეს, მაგრამ ძრავა ჩაქრა.

უკან დახვევისას მანქანაც და სერგოც დატოვეს. ის ჟილეტი რომ არ გაეხადა, იქნებ გადარჩენილიყო, ამბობენ ჯარისკაცები და მის მოწოდებას იხსენებენ: "ნუ გეშინიათ, მეომრებო! თუ დავეცემით, იცოდეთ, არასოდეს მოვკვდებით! ჩვენ მუდამ ცოცხლები ვიქნებით!" _ უთხრა სერგომ ბრძოლაში ჩაბმის წინ ასეულს, რომლის თითოეულ ჯარისკაცსაც თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ახლა მისი ომანხიანი მოწოდება საფლავის ქვაზე წერია.

დღესდღეობით მე_4 ბრიგადის 42_ე ბატალიონის II ქვეით ასეულს შემორჩა მხოლოდ სერგოს სიტყვები, რომლისაც თვითონ სერგოს სწამდა და მის ჯარისკაცებს უნერგავდა:

„ნუ გეშინიათ მეომრებო, თუ დავეცემით, იცოდეთ არასოდეს მოვკვდებით!

ჩვენ მუდამ ცოცხლები ვიქნებით!”

უფროსი ლეიტენანტი: ს. მელია.

დაღუპული ბიჭების გვამების გადმოსვენება მხოლოდ 26 აგვისტოს მოხერხდა, მაგრამ მათი ამოცნობა ეტაპობრივად მოხდა. სერგოს გარდაცვალების ამბავი მისმა ოჯახმა მხოლოდ 29 დეკემბერს გაიგო, დნმ ანალიზების პასუხის შემდეგ. მანამდე იმედით იყვნენ....

სერგო განისვენებს მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე. სხვა 22 გმირის გვერდით!..

მასზე გარკვევით იკითხებოდა მისი გვარ_სახელი _ სერგო მელია. ქეტონი რუსების ვიდეოფორში კარგად ჩანს.



სერგოს ბრძოლის წინ ვინაობის დამადასტურებელი ფირფიტა არ მოუხსნია. თურმე ყოველთვის ამბობდა, თუ რამე მოხდება, ამით მიპოვითო. მიუხედავად ამისა, მისი გვამის მოძიება რამდენიმე თვე გაგრძელდა?!

სერგოს ძალიან უყვარდა კითხვა. განსაკუთრებით კარგად იცოდა საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, უყვარდა კლასიკური ლიტერატურა. დღის სხვადასხვა დროს შეეძლო წაეკითხა განსხვავებული ჟანრის ლიტერატურა. საყვარელი პოეტი იყო გალაქტიონი, ზეპირად იცოდა მისი უამრავი ლექსი, განსაკუთრებით უყვარდა „მესაფლავე“. უსმენდა როკს, კლასიკას როცა დასასვენებლად თავისუფალ დროს გამონახავდა. ძალიან უყვარდა ცხენები და ზღვა, ტკბილეული....

სერგოს ოცნება იყო გაგრაში დაბრუნება, აკადემიაში ჩაბარებისას სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა. მისი მეგობარი იხსებენს, როცა ცხინვალის შესასვლელში წაქეუულ ცხინვალის ტრაფარეტზე ჩამომჯდარან, სერგოს უთქვუმს "ასე დავიბრუნებთ გაგრასაც"-ო, მისი ოცნება აუხდენელ ოცნებად დარჩა...

დღესდღეობით მე-4 ბრიდაგის 42_ე ბატალიონის II ქვეით ასეულს შემორჩა მხოლოდ სერგოს სიტყვები, სიტყვები რომლისაც თვითონ სერგოს სწამდა და მის ჯარისკაცებს უნერგავდა:

„ნუ გეშინიათ მეომრებო, თუ დავეცემით, იცოდეთ არასოდეს მოგკვდებით!

ჩვენ მუდამ ცოცხლები ვიქნებით!”

უფროსი ლეიტენანტი: ს. მელია.

ზაირა მელია _ სერგოს დედა: "ზოგმა მითხრა, ჯარში როგორ გაუშვიო. მე შვილს ვაჟკაცად ვზრდიდი, როგორ შევკადრებდი, ჯარში არ წახვიდე_მეთქი. ყოველთვის განიცდიდა, დედები

რომ შვილებს ჯარს არიდებდნენ. მახსოვს, მეთერთმეტე კლასში თავისუფალი თემა დაწერა "მე და საქართველო". წერდა, სად არიან ის დედები, ვინც სამშობლოს დამცველად ზრდიდნენ შვილებს და გზას ულოცავდნენ შეგონებით, მტერს ზურგი არ აჩვენოთო?!

"სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედაო", ამბობდა და როდესაც არჩევანი სამშობლოსა და დედას შორის დაუდგა, უყოყმანოდ გამცვალა საქართველოზე. ის ხელფასისთვის კი არ იყო ჯარში, არამედ საქართველოს გასამთლიანებლად. ასეთი ჯარისკაცის დედამ შვილის გაყინული ხელფასი რომ მოვითხოვე, მიპასუხეს, ჩვენს დროს არ გაყინულა ეგ ფული, მაშინ მინისტრი ვინც იყო, იმას მოსთხოვეთო.

კი მაგრამ, საქართველო ხომ ყოველთვის ერთი სახელმწიფო იყო, წინა მინისტრის დროსაც და ახლაც?"

ბრძოლის წინ იარაღს რომ არიგებდა, სერგოს ჯარისკაცებისთვის ღიმილით უთქვამს, დღეს მე ლამაზ სიკვდილს გაჩვენებთო.

გმირები მართლაც ლამაზად კვდებიან!

და ასევე სურათი, რომელზეც აღბეჭდილია გაგრის დაცემის დღე, რომელიც მასვე გაუდიდება და სათუთად ჩარჩოში ჩაუსვამს. აქაც დატოვა მისი კვალი. სურათის ზედა მხარეს წარწერაა "ჩვენ დავბრუნდებით!" ხოლო ქვეშ მისივე პასუხი – „აბიზატელნო“ აფხაზურ ენაზე.

მას ასე სჯეროდა და ასე სურდა. ეს იყო ერთი გაგრელი ბიჭის სურვილი და ოცნება, რომელიც მხოლოდ მის ოცნებად დარჩა!

სააქაოს სერგო მელიას დარჩა მშობლები, და, ძმა და რძალი, მეგობრები და ახლობლები, რომელთაც იგივე სურვილი და ოცნება აქვთ. მისი "ბიჭები" (ასე მიმართავდა და იხსენიებდა მისი ასეულის წევრებს), რომლებიც მასავით იბრძოდნენ იმისთვის, რისიც სჯეროდათ.

სერგოს სახელი არასდროს წაიშლება მათი მეხსიერებიდან!!!

2013 წელი. 8 ავისტოს მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე ხუთი წლის თავზე სერგოს სასაფლაოზე შეიკრიბნენ მშობლები, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები. მოვიდა სერგოს ძმიშვილი, წლინახევრის პატარა სერგო, რომელმაც თავის ფეხით მივიდა ბიძა სერგოს



კაპრალი

ავედიკ ვახტანგის ძე ლომიძე

ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენი. 2008 წელი.

1959 - 2008

ის იძულებული იყო დაეტოვებინა აფხაზეთი. იბრძოდა პირველი ომის დროს. გამირულად დაიღუპა 2008 წელს. ტყვიამ განგმირა ის რუისში. ომი არ იყო უცხო მისთვის.

დევნილობის პერიოდში, სურვილი ებრძოლა თავისი ქვეყნის დასაცავად უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მან ყველაფერი გააკეთა და შესწირა საკუთარი სიცოცხლეც კი. დღეს ავედიკ ლომიძე არის გმირი.

ავედიკი აფხაზეთის ომის ვეტერანია. ის იბრძოდა აფხაზეთში, შემდგომ იყო უიმედო საშინელი წლები.

“ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მას მიეცა საშუალება კვლავ ემსახურა თავისი ქვეყნისათვის. 2004 წელს მან დაიწყო თავისი სამხედრო კარიერა შინაგან ჯარებში. 2005 წელს მოაწერა ხელი 5 წლიან კონტრაქტს. ის იყო კაპრალი, ვაზიანის მეოთხე ბაზაზე.

იყო ძალიან ყურადღებიანი მამა და მეუღლე. მისი ოცნება და სურვილი იყო აფხაზეთში დაბრუნება და იქ მშვიდობიანი ცხოვრება. ძალიან უყვარდა თავისი შვილიშვილი და სურდა მეტი ყოლოდა.

მის მეუღლეს ძალიან უჭირს იმ დღეების გახსენება: “ავედიკი რეკავდა ყოველდღე, რომ ჩვენ არ გვენერვიულა. თავდაპირველად ის იყო ცხინვალში, ფრონტის ხაზზე. 11 აგვისტოს დილით მან დარეკა და თქვა, რომ იმყოფებიან ქარელში და ხელმძღვანელობენ ფრონტის ხაზს. მე შეიძლება ვერ დავბრუნდე, თავს გაუფრთხილდით. ვცდილობდი დამერეკა მოგვიანებით, საღამოს 5 საათზე დავუკავშირდი, მითხრა, რომ გამოდიან. მესმოდა ფეხის ნაბიჯების ხმა, ვიღაც ძალიან ჩქარა გარბოდა. ვფიქრობდი, რომ 50 წლის კაცი ვერ ირბენდა ისე სწრაფად როგორც ახალგაზრდა. კავშირი გაწყდა. მეორე დღეს დავურეკე მის ამხანაგებს შტაბში. მათ მიპასუხეს, რომ ჯარი არის შტაბს გარეთ და ჩემი მეუღლე მალე დაბრუნდება სახლში. ის აღარ დაბრუნებულა. . . ჩვენ მას ყველგან ვეძებდით, ჩვენი ყველა მცდელობა ამაო იყო.

17 ოქტომბერს, დნმ-ის ტესტნმა აჩვენა, რომ ჯარისკაცი დაღუპული რუისში იყო ჩემი მეუღლე. მე მართალი ვიყავი, მას არ შეეძლო ჩქარა სირბილი, ის ჩამორჩა და ის მოკლეს. სენაკის ბიჭებმა ის ნახეს და გადაიყვანეს ქარელის ჰოსპიტალში. მათ დაასაფლავეს ის მეორე დღეს. 30 სექტემბერს მათ გადმოასვენეს თბილისში.

შოკირებული ვიყავი, როცა შემატყობინე ს მისი გარდაცვალების შესახებ.

მე მქონდა იმედი, რომ ის სადღაც იყო, და ერთ დღესაც დაბრუნდებოდა უკან. ის დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის 111 ხარისხის ორდენით, ძალიან ძნელია ჩემთვის მის გარეშე ცხოვრება, მაგრამ მე უნდა გადავლახო ეს კოშმარი. ამ ყველაფრის მერე მე გმირის ცოლი ვარ.

ავედიკ ლომიძე დაიბადა 1959 წლის 6 იანვარს, ქალაქ გაგრაში, აფხაზეთში. მან დაამთავრა 1-ლი საშუალო სკოლა, ლესელიძეში. აფხაზეთის პირველ ომსა და სამაჩაბლოს მეორე ომს შორის, იყო ოცნების წლები. ის ოცნებობდა თავის მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას, მაგრამ ეს ოცნება არ ახდა. მან შეასრულა თავისი მოვალეობა, და დღეს ის არის გმირი, ვისი სახელიც ჩაბეჭდილია ოქროსფერი ასოებით საქართველოს ისტორიაში.



კაპრალი

მამუკა ნუგზრის ზე სამაკაშვილი

მედალი სამხედრო გმრობისათვის, 2008 წელი

1986 - 2008

22 წლის ჯარისკაცი მოკლულ იქნა რუსული ბომბით, როცა ის მოყვებოდა სენაკის ბაზის დაჭრილ ჯარისკაცებს ჰოსპიტალში.

მამუკა სამაყაშვილი 5 წლის იყო როცა მან დატოვა მშობლიური გაგრა. ის გაიზარდა წყალტუბოში. მათი ოჯახი ცხოვრობდა სანატორიუმ “საქართველო“-ში.

მისი უფროსი და იხსვენებს, რომ მამუკა იყო ცელქი და ძალიან ნოჰიერი ბავშვი. მან დაამთავრა წყალტუბოში მეორე საშალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთ კვირაში ჩაეწერა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, მსახურობდა ქუთაისში, 6 თვეში კონტრაქტორი იყო. თავიდან მსახურობდა ვაზიანის ბაზაზე, და შემდეგ სენაკის მეორე ბრიგადაში. იყო კაპრალის თანამდებობაზე. თვეები იყო დარჩენილი, კონტრაქტის ამოწურვამდე, მას ქონდა შემოთავაზება კარგ სამსახურში, მაგრამ მან არ დატოვა ჯარი, თქვა, რომ არ უღალატებს თავის ქვეყანას, თავის მეგობრებს.

ოჯახის წევრებმა ნახეს ომის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

იმ დამეს, როცა მოკლული იქნა, დედამ ნახა სიზმარში მისი მეგობარი ჯარისკაცები - ზოგი დაჭრილი იყო, ზოგი ცოცხალი. მამუკას კი ვერ ხედავდა ვერსად, მაგ დროს ის აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცოდით. ჩვენმა მეზობელმა შეგვატყობინა დილით 9 აგვისტოს, რომ მამუკა გარდაიცვალა. იმავე დღეს გადმოასვენეს მისი სხეული.

ის მოყვებოდა დაჭრილ რეზევისტებს სენაკიდან. მოკლულ იქნა საჰაერო დაბომბვის დროს, ის იჯდა მძღოლის გვერდით. როგორც ვიცით, ის ადგილზევე გარდაიცვალა. ხალხი ამბობს, დრო კურნავს ყველაფერსო, მაგრამ ტკივილი მაინც რჩება.

მოკლულ იქნა 22 წლის ასაკში, ამ ხნის განმავლობაში მან დაგვიტოვა იმდენი სიტბო და სიყვარული, რასაც სხვა ადამიანი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ვერ დატოვებდა.

ოჯახი სათუთად ინახავს ვალმოხდილი ვაჟკაცის სახელს და უფალს ევედრებიან იმ ქვეყნიური გზა ნათელი მისცეს საყვარელი ადამიანის ლამაზ სულს.

რუსეთ-საქართველოს ომი — ასევე ცნობილი როგორც 2008 წლის სამხრეთ ოსეთის ომი, შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში, ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ რუსეთის ფედერაციას შორის, ოსებსა და აფხაზებთან ერთად.



კლასის რიგითი
გვიად სულხანიშვილი



კპარალი
გიორგი აფაქიძე



კლასის რიგითი
გიორგი ლუგავილი



კპარალი
ბორის ცაგორავილი



კლასის რიგითი
ზურა გურგენაშვილი



კპარალი
თეიმურაზ ორთაყვიძე



რიგითი
მისაქილ წარინდორავილი



ქართველი ქალები აფხაზეთის ომში...
ისინი იცავდნენ სამშობლოს...



დუშეთის ბატალიონი...1993 წელი 2 ივლისი...

1993 წლის 2 ივლისს, გამთენიისას, 5 საათზე, სოფელ ტამიშთან, საზღვაო ზოლის მონაკვეთში გემი შენიშნეს.

